# ლელო

№45
(10956)

ნოემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია ●ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


28 ნოემბერს, თბილისში, პარლამენტის წინ, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, გაიმართა საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია და საზეიმოდ ფიცის დადების ცერემონიალი. პრეზიდენტმა წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა, სადაც ისიც ითქვა, რომ „სამოქალაქო საზოგადოების, მთელი ხალხის კულტურა, მეცნიერება, განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება, ჯანდაცვა, სპორტი, ტურიზმი იქნება საპრეზიდენტო ხელისუფლების ყურადღების ცენტრში.

ქართული სპორტისთვისაც ახალი ეტაპი იწყება!

## ასე თამაშობდა ჩემბერლენი

ამერიკის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატებში სხვადასხვა დროს არაერთი რეკორდი დაუმყარებიათ. ზოგი, თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ ცოცხლობს, ზოგს კი კარგა ხანია ყავლი გაუვიდა და მხოლოდ სტატისტიკოსთა ინტერესს თუ იწვევს. არის ნბა-ს ერთი რეკორდი, რომელიც დღემდე არავის დაუმხია, არადა, დამყარებულია იგი 33 წლის წინ, 1962 წლის 2 მარტს.

რა ეპითეტებით არ ამკობენ ამ რეკორდს. ზოგი მას ფანტასტიკურს უწოდებს, ზოგი — უნიკალურს, საუკუნის მიღწევას, მომავლის რეკორდს. ერთი რამ ცხადია: მსოფლიოს კალათბურთის ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა და თუ პროფესიული კალათბურთის სპეციალისტთა სიტყვებს ვირწმუნებთ, ალბათ აღარც მოხდება. ადამიანი, რომელსაც ეს რეკორდი ეკუთვნის, უილტონ ჩემბერლენი გახლავთ.

იმ მატჩს, რომელშიც დაფიქსირდა საუკუნის რეკორდი, არავითარი სატურნირო მნიშვნელობა არ ჰქონია. ჩემბერლენის გუნდს — „ფილადელფია უორიორზს" პირველი ადგილი ჯგუფში განაღდებული ჰქონდა, „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსს" კი ბოლოსწინა ადგილიდან ვერაფერი დაძრავდა. ეს მატჩი წესით უნდა ყოფილიყო რიგითი, არაფრისმთქმელი, უფრო ულიმღამო, ვიდრე საინტერესო და დრამატიული. თანაც „ნიკსი" წინა დღეს ტრავმირებული ცენტრალური თავდამსხმელის ფილ ჯორდანის გარეშე თამაშობდა.

იმ საღამოს ჩემბერლენმა გზადაგზა რამდენიმე სხვა რეკორდიც გააუმჯობესა: საშუალო და შორი მანძილებიდან ტყორცნით თავის გუნდს 38 ქულა მოუტანა, 28 ქულა — საჯარიმოს სროლებით, 34 ქულა — უშუალოდ ფარქვეშ ბრძოლით. შემდეგ, 31 ქულა ერთ, 12-წუთიან პერიოდში, 59 ქულა მატჩის ერთ ნახევარში ანუ 24 წუთში და ყველაფერმა ამან, ერთ მატჩში 100 ქულა შეადგინა. იმ სამახსოვრო საღამოს 4.174 გაოცებული მაყურებელი აღფრთოვანებული უყურებდა, რასაც 217 სანტიმეტრის სიმაღლის გიგანტი უილტონ ჩემბერლენი სჩადიოდა. ამ სასწაულს მთელი მატჩის მსვლელობაში თან სდევდა გულშემატკივართა შეძახილები: „ბურთი უილტს გადაეცით, პასი ჩემბერლენს"! დარბაზში

იხ. 3 გვ


უილტონ ჩემბერლენი (№13)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი ● XV ტური

„დილა" — „ეგრისი" 4-3
„მარგვეთი" — „მეტალურგი" 3-0
„შევარდენი-1906" — „ტორპედო" 2-3
„ივერია" — „დინამო" ზუგ. 2-1
„კახეთი" — „დინამო" ბათ. 0-2
„გურია" — „კოლხეთი-1913" 1-4
„დურუჯი" — „სამტრედია" 1-6
„სიონი" — „დინამო" თბ. 0-1
გამოტოვებული მატჩი „დინამო" თბ. — „დინამო" ბთ. 1-1

### საქართველოს თასზე

მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ივერია" — „სამტრედია" 1-2,

„ეგრისი" საკუთარ მინდორზე არ გამოცხადდა გორის „დილასთან" შეხვედრაზე, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა — 0-3.

### უეფას თასზე

მოგვყავს უეფას თასის მერვედფინალურ შეხვედრათა შედეგები: „ბაიერნი" (გერმანია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 4-1, „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ვერდერი" (გერმანია) 2-1, „ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) — „ლიონი" (საფრანგეთი) 1-0, „ბრონდბიუ" (დანია) — „რომა" (იტალია) 2-1, „მილანი" (იტალია) — „სპარტა" (ჩეხეთი) 2-0, „ბორდო" (საფრანგეთი) — „ბეტისი" (ესპანეთი) 2-0, „სევილია" (ესპანეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 1:1, „სლავია" (ჩეხეთი) — „ლანსი" (საფრანგეთი) 0-0.

## ვულოცავთ!

გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს რომან რურუას.

## სპორტსმენები პარლამენტში

5 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ გადალახა 5-პროცენტიანი ზღვარი და პარლამენტს მიღმა დარჩა, მათ შორისაა სპორტსმენთა კავშირი, რომელიც რეფორმატორთა კავშირთან ერთიან ბლოკში იყრიდა კენჭს.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში ჩვენი სპორტული და საზოგადოებრივი მოძრაობის რამდენიმე ღირსეულმა წარმომადგენელმა მოაგროვა ხმების აუცილებელი რაოდენობა და ადგილი დაიმკვიდრა ახალ საკანონმდებლო ორგანოში. ესენი არიან: ლევან თედიაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე და დილარ ხაბულიანი. ცაგერიდან პარლამენტარი გახდა სპორტსმენთა კავშირის წევრი ვალერი გიორგობიანი.

ვულოცავთ!

## ქართველები — საუკეთესონი რუსეთში

რუსეთის საფეხბურთო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ დაამტკიცა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის ტრადიციული სია — 3-3 ყოველ სათამაშო ადგილზე. ამ სიაში არიან საქართველოს ფეხბურთელებიც, რომლებიც წინა წლებში თბილისის „დინამოში" გამოდიოდნენ. კერძოდ:

მარჯვენა მცველთა შორის №1 დასახელებულია ომარ თეთრაძე (ამჟამად იგი რუსეთის ახალი ჩემპიონის ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" შემადგენლობაში თამაშობს).

მარცხენა მცველთა შორის №2 ფეხბურთელად გავიდა მურთაზ შელია (ორჯონიკიძის „სპარტაკ-ალანია").

№2 მარცხენა ნახევარმცველად ალიარეს ბახვა თედეევი („სპარტაკ-ალანია").

№1 მარცხენა თავდამსხმელად მიიჩნიეს მიხეილ ყაველაშვილი („სპარტაკ-ალანია").

№2 მეკარედ დაასახელეს ორჯონიკიძელი ზაურ ხაპოვი, რომელიც აგრეთვე გამოდიოდა თბილისის „დინამოში".

## სადაურსა, სად წაიყვან...

### ვინ არის თეიმურაზ კეკელიძე?

ლონდონში გაიმართა რამდენიმე მატჩი მოკრივეთა მანაზიის ასოციაციის ვერსიით. ჩემპიონის ტიტული საშუალო წონაში მოიპოვა მოსკოველმა თეიმურაზ კეკელიძემ, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებლად აჯობა ავსტრალიის ჩემპიონს ნიკი ტამოუფეის. ბრძოლა შეწყდა მერვე რაუნდში. გამარჯვება მიეკუთვნა კეკელიძეს ტექნიკური ნოკაუტით.

მიმომხილველთა განცხადებით, უფერული გამოდგა ბრძოლა ჩემპიონის ქამრისათვის სუპერმძიმე წონაში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ რუსი ნიკოლაი კულპინი და უზბეკეთის წარმომადგენელი ოლეგ მასკაევი (ეს უკანასკნელი ცხოვრობს ამერიკაში და იქვე ვარჯიშობს). გაიმარჯვა მასკაევმა.

## ილუმჟინოვი ფიდეს პრეზიდენტია

ИТАР-ТАСС-ის ცნობით პარიზში მიმდინარე ფიდე-ს საერთაშორისო კონგრესმა დააკმაყოფილა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის თხოვნა გადადგომის შესახებ და შემდეგ კენჭი უყარა მისსავე წინადადებას პრეზიდენტის პოსტზე ყალმუხეთის პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის არჩევის შესახებ. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ფიდეს პრეზიდენტად აირჩიეს კირსან ილუმჟინოვი (მას ალტერნატივა არც ჰყოლია). ილუმჟინოვს ხმა მისცა 95-მა დელეგატმა, წინააღმდეგი იყო მხოლოდ — სამი.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### ჩემპიონთა ლიგა

გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის (ჩემპიონთა ლიგა) მორიგი შეხვედრები.

#### „ა" ჯგუფი

„პორტუ" (პორტუგალია) — „ნანტი" (საფრანგეთი) 2-2

„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „ოლბორგი" (დანია) 2-0

გათამაშების ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი" | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| „ნანტი" | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| „პორტუ" | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 6 |
| „ოლბორგი" | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |

6 დეკემბერს ერთმანეთს ხვდებიან „ნანტი" — „პანათინაიკოსი", „ოლბორგი" — „პორტუ".

#### „ბ" ჯგუფი

„სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) — „ბლეკბერნი" (ინგლისი) 3-0

„როზენბორგი" (ნორვეგია) — „ლეგია" (პოლონეთი) 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 5 | 5 | 0 | 0 | 14-4 | 15 |
| „ლეგია" | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| „როზენბორგი" | 5 | 2 | 0 | 3 | 10-12 | 6 |
| „ბლეკბერნი" | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

6 დეკემბერს: „ლეგია" — „სპარტაკი", „ბლეკბერნი" — „როზენბორგი".

#### „ც" ჯგუფი

„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „სტიაუა" (რუმინეთი) 1-1.

„იუვენტუსი" (იტალია) — „ბორუსია" (გერმანია) 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 5 | 4 | 0 | 1 | 15-4 | 12 |
| „ბორუსია" | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| „სტიაუა" | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| „გლ. რეინჯერსი" | 5 | 0 | 2 | 3 | 4-12 | 2 |

6 დეკემბერს: „ბორუსია" — „გლ. რეინჯერსი", „სტიაუა" — „იუვენტუსი".

#### „დ" ჯგუფი

„რეალი" (ესპანეთი) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 0-2

„ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „გრასჰოპერი" (შვეიცარია) 3-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 5 | 4 | 1 | 0 | 11-1 | 13 |
| „რეალი" | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 7 |
| „ფერენცვაროში | 5 | 1 | 2 | 2 | 9-15 | 5 |
| „გრასჰოპერსი" | 5 | 0 | 2 | 3 | 3-11 | 2 |

6 დეკემბერს: „აიაქსი" — „ფერენცვაროში", „გრასჰოპერი" — „რეალი".

ამრიგად, გამოირკვა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ხუთი მონაწილე კლუბი. ესენია: პანათინაიკოსი", „სპარტაკი", „იუვენტუსი", „ბორუსია", „აიაქსი". მოსკოვის „სპარტაკისა" და „ბლეკბერნის" შეხვედრაში მოხდა ინციდენტი, რომლის მსგავსს იშვიათად თუ მიაგნებთ საფეხბურთო პრაქტიკაში: თამაშის დროს მინდორზე ერთმანეთს წაეკიდნენ „ბლეკბერნის" ფეხბურთელები გრემ ლე სო და დევიდ ბეტი. ეს იყო ტიპიური ქუჩური მუშტი-კრივი, რომელიც ძლივს აღკვეთეს ინგლისელთა კაპიტანმა ტიმ შერვუდმა და გვერდითმა მსაჯმა. „ბლეკბერნის" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ორივე ფეხბურთელს დააჯარიმებენ მოზრდილი თანხით და, გარდა ამისა, შუამდგომლობას აღძრავენ უეფას წინაშე მათ მიმართ სხვა სანქციების გამოტანის თაობაზე, ხოლო უეფას წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქმეს განიხილავენ მატჩის არბიტრის პაირეტოს ოფიციალური მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ.

## კახი კახიაშვილი ამჯერადაც უფრო მსუბუქი იყო

არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ კანტონში (ჩინეთი) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს მედალს 99 კგ წონაში გაითამაშებდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სერგეი სირცოვი და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კახი კახიაშვილი, რომელიც კარგა ხანია საბერძნეთის მოქალაქე გახდა და ამ ქვეყნის ღირსებას იცავს. სირცოვმა მოიგო ატაცი, კახიაშვილმა — აკვრა, საბოლოოდ ორჭიდში ორთავემ ერთნაირი შედეგი აჩვენა, მაგრამ კახი, ისევე როგორც სამი წლის წინ, ბარსელონაში (მაშინ ორივე მეტოქე 90 კგ-ში ასპარეზობდა), სირცოვზე 200 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ამან გადაწყვიტა ოქროს მედლის ბედი. კახიაშვილი გახდა მსოფლიო ჩემპიონი, სირცოვი — ვერცხლის პრიზიორი.

**ტექნიკური შედეგები.** 99 კგ. 1. კახი კახიაშვილი (საბერძნეთი) — 410 (182,5 + 227,5), 2. სერგეი სირცოვი (რუსეთი) — 410 (190 + 220), 3. ანატოლი ხრაპატი (ყაზახეთი) — 405 (185 + 220).

## დინამოელებს ელიან კიოლნში

ИТАР-ТАСС-ის ცნობით 5-22 იანვარს გერმანიის ქალაქებში გამოვლენ მოსკოვის საფეხბურთო კლუბები („სპარტაკი", „დინამო", „ტორპედო") და თბილისის „დინამო". ამ ტურნირებში გამარჯვებულნი 28-29 იანვარს მიუნხენში ერთმანეთში გაითამაშებენ პირველობას.

თბილისის დინამოელები 8-9 იანვარს კიოლნში ითამაშებენ. ჯგუფში მათთან ერთად იქნებიან: „კარლსრუე", „კიოლნი", „შტუტგარტი" და „იურდინგენი".

## „მეოზა": 9-დან 9!

დასრულდა კალათბურთში ქალთა ჩემპიონატის II წრე. კომენტარი ვთხოვეთ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს: „სამწუხაროა, რომ II წრეში სარბიელზე ველარ ვიხილეთ გორის გუნდი. მიზეზი — უსახსრობა! გადავწყვიტეთ გორელები არ მოვხსნათ გათამაშებიდან, ეს ადვილია, უფრო ძნელია გუნდის შენარჩუნება. II წრის გამოტოვებულ თამაშებს მათ აღვუდგენთ, ვიმედოვნებთ ფინანსური საკითხები მოგვარდება. შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს ქუთაისის „მეოზა", რომელიც მთავარ კონკურენტს საქართველოს სამგზის ჩემპიონს, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ორივე წრეში აჯობა და ორი მოგებით დაწინაურდა. ახლა „მეოზას" 9-დან 9 ქულა აქვს, ტექნიკურ უნივერსიტეტს 9-დან 7. ჩემპიონატი განახლდება გაზაფხულზე".

● ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა) გათამაშებული მსოფლიო თასის ხუთი ეტაპის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ჰოლანდიელი ერიკ ვან დერ ფლიუტენი — 37 ქულა. შეგახსენებთ, რომ თასის გათამაშება სულ თოთხმეტ ეტაპს შეიცავს. შარშანდელ რეიტინგში გამარჯვებული ინგლისელი ძმები ჯონ და მაიკლ უაიტეიკერები, ამჯერად, ოცეულშიც კი არ არიან.

იწყება სათხილამურო სეზონი

# როცა ზაფხულს უჭირს, არც ზამთარს ულხინს



იწყება ზამთრის სპორტის სახეობების ახალი სეზონი. თუმცა, სპორტსმენები არც ზაფხულში არიან მოწყენილნი, ვარჯიშობენ ხელოვნურ საფარზე, მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ცხადია, ჩვენი მოთხილამურეები ამ სიამოვნებას მოკლებულნი არიან. რით ხვდებით ახალ სეზონს, რა პერსპექტივა გაგვაჩნია ზამთრის ოლიმპიადისა და მსოფლიო პირველობის ლიცენზიების მოსაპოვებლად? გვესაუბრებიან ზამთრის სპორტის სახეობების ფედერაციის გენერალური მდივანი ლევან ახმეტელი და ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვერა აბრამიშვილი.



ლ. ახმეტელი: ყველა პრობლემა, რაც დღეს ქართული სპორტის წინაშე დგას, ცხადია, ჩვენც გვეხება. ზამთრის სპორტის წარმომადგენლებისათვის, სეზონი ფაქტობრივად არ მთავრდება. სამწუხაროდ, უწყვეტი მზადება ძვირი ჯდება, ჩვენ კი შესაძლებლობები არ გაგვაჩნია. წლეულს, სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით, ავსტრიაში გაიარა მზადება ნაკრებმა. უსახსრობით მეტი ვერ შევძელით.

● ამჟამად სადაა ჩვენი ნაკრები?

ვ. აბრამიშვილი: ავსტრიაში. 23 დეკემბრამდე ზედიზედ გამოვალთ იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში გამართულ შეჯიბრებებში. ძირითადად იქ დაერიცხებათ სპორტსმენებს ის ქულები, რაც საჭიროა ოლიმპიურ და მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

● ვინ შედიან ეროვნულ ნაკრებში?

— ლევან აბრამიშვილი, ზურაბ ჯიჯიშვილი და გოდერძი დადვანი. სამივე სამთომოთხილამურეა. პირველმა ორმა, გახსოვთ ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა. დადვანი ახალგაზრდა პერსპექტიული მოთხილამურეა.

● ამჯერად ვისი ხელშეწყობით გაემგზავრა ნაკრები?

ლ. ახმეტელი: ისევ სპორტის დეპარტამენტი დაგვეხმარა. კვლავ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი თბილისის ლუდის №2 ქარხნის ხელმძღვანელობამ, რომლის თავკაცი ბატონი გიორგი თოფაძე ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. თბილისიდან ავიარეისებით უფასოდ გადავყავართ „ორბს“, რისთვისაც მადლობას ვუხდით ამ ავიაკომპანიის პრეზიდენტს დავით სანიკიძეს.

● ევროპაში ხომ ვენის აეროპორტიდან მოყოლებული საკუთარი ავტობუსით მოგზაურობთ?

ვ. აბრამიშვილი: დიახ, ეს ავტობუსი ქეთევან ბატონიშვილმა გვაჩუქა. პრობლემები მაინც გვაქვს. მეტწილად ერთი და იგივე ასპარეზობის სტარტები სხვადასხვა ქვეყანაშია. იძულებული ვხდებით, ჩვენი სპორტსმენი იქ ვინმეს გავაყოლოთ.

● ახალგაზრდებზე რას იტყვით?

ლ. ახმეტელი: კარგი ყმაწვილები იზრდებიან ბაკურიანში, გუდაურში, სვანეთში. სამწუხაროდ, საშეჯიბრო გამოცდილება აკლიათ, მიზეზები ისევ და ისევ ფინანსური ხელმოკლეობაა. არადა, უამრავი ასპარეზობა ტარდება ჭაბუკებისათვის, საიდანაც ყოველთვის ვიღებთ მიწვევას.

ვ. აბრამიშვილი: ეს ბიჭები 1997 წელს მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში. მერე კი შეცვლიან უფროსებს, ასე რომ, ისინი მომავალი ოლიმპიელები არიან. ამიტომ გვმართებს მათდამი მეტი ყურადღება, რაც, ჩვენს ძალებს აღემატება, სხვამ უნდა შეგვაშველოს ხელი. იმედია, სპონსორები აქაც გამოჩნდებიან და მთელს მსოფლიოში დამკვიდრებული ტრადიცია — დაეხმარონ ახალგაზრდებს დაოსტატებაში, ჩვენთანაც ჰპოვებს მხარდაჭერას.

ესაუბრა
ცოტნე ბაქრაძე

# ქართული კოლონია საფრანგეთში

სან დე ჟილეზში (საფრანგეთი), სადაც ვეტერან სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდი საქართველოს ნაკრები იყო და აი, რატომ. ჯერ ერთი, ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე გახლდათ 58 წლის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლკოვნიკი ზაურ სახვაძე. ამას მასპინძლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასევე თავიანთ წონებში უხუცესნი იყვნენ ფირმა „მონიკას“ 54 წლის პრეზიდენტი ავთანდილ თოდრია და შინაგან საქმეთა სამინისტროს 55 წლის ვიცე-პოლკოვნიკი ჯემალ ფიცხელაური. რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ გუნდის სხვა წევრთა ასაკსაც გაგაცნობთ, მით უმეტეს, რომ წლოვანების დამალვას არც ერთი მათგანი არ აპირებს. მაშ ასე, ქსნის მინისტარის ქარხნის დირექტორის მოადგილე, 46 წლის მევლუდ ჩხაიძე, მეტეხის აგურის ქარხნის დირექტორის მოადგილე, 39 წლის ნუგზარ მამულაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაიორი, 39 წლის თემურ დვალიშვილი.

ახლა ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ ვინ როგორ გამოიჩინა თავი. თან, რაც მთავარია, უმედლოდ, როგორც ადრე ვნერდით, გუნდის არც ერთი წევრი არ დარჩენილა. ესეც პოპულარობის მიზეზი იყო.

მევლუდ ჩხაიძე (57 კგ) — I ადგილი. ჩაატარა ოთხი შეხვედრა. ყველა წმინდად მოიგო. ფინალში აჯობა საკმაოდ გამოცდილ ამერიკელს ჯონ ჰარისონს. მერე იქვე იჭიდავა მოქმედ სამბისტთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ვეტერანთა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყო და II საპრიზო ადგილი დაიკავა.

ზაურ სახვაძე (74 კგ) — II ადგილი. ორ მეტოქეს, რომლებიც მასზე გაცილებით ახალგაზრდები იყვნენ, დამაჯერებლად მოუგო. ფინალში დამარცხდა 36 წლის გამოცდილ ბულგარელ ტოდოროვთან, რომელიც შვილად ეკუთვნოდა.

ნუგზარ მამულაშვილი (82 კგ) — II ადგილი. დასანანი მარცხი იწვნია ფინალში ფრანგ ჟერართან. შეხვედრას იგებდა ოთხი ქულით. დარჩენილი იყო სამი წამი, როცა მოჰყვა შებოჭვაზე და მეტოქეს 4 ქულა დაუთმო. ამ ოთხქულიანმა ილეთმა გამარჯვება ფრანგ მოჭიდავეს მოუტანა.

თემურ დვალიშვილი (100 კგ) — III ადგილი. მ...ლის ტრავმა მიიღო პირველსავე შეხვედრაში. შეეძლო თავი დაენებებინა შეჯიბრებისათვის, მაგრამ არ ქნა. აბა რისთვის გავაკეთე ამხელა გზაო. ნატკენი მუხლით მესამე ადგილი, დაგვეთანხმებით, დიდი ვაჟკაცობაა.

ავთანდილ თოდრია (100 კგ) — III ადგილი. წააგო ერთადერთი ბრძოლა ფინალში გადასასვლელი, ადგილობრივ კრისტიან ბრუსთან. ავთანდილიც იგებდა ამ შეხვედრას, მაგრამ ნუგზარ მამულაშვილის მსგავსად ბოლო წამებზე შებოჭვაზე მოჰყვა. III ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა ალჟირელი ალ ბაშირი.

ჯემალ ფიცხელაური (+100 კგ) — II ადგილი. ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა. აი, ფინალში კი დამარცხდა 37 წლის ბულგარელ პეტროვთან. ეს ბულგარელი უბრალო მოჭიდავე არ გეგონოთ. იგი მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია — ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში.

საქართველოს ვეტერან სამბისტებს საფრანგეთში დამრიგებლად ახლდა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ოლეგ იაძე, რომელმაც მოგვაწოდა ეს ინფორმაცია. თანაც შეგვახსენა, რომ სეზონის ბოლო ასპარეზობას ქართველი სამბისტები გამართავენ 17-21 დეკემბერს იუგოსლავიის ნოვი-სადში. ეს იქნება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ვინაიდან, ნაკრების ყველა წევრი პოლიციის აკადემიის კურსანტია, სპონსორობასაც, ჩვენს გუნდს სასწავლებელი გაუწევს, რისთვისაც მადლობის მეტი რა ეთქმის, აკადემიის რექტორს, გენერალ შოთა გორგოძეს.

ჯემალ მახარაძე



ეს იყო საქართველოს ვეტერან სამბისტთა ბრწყინვალე გამოსვლა საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე: მეორე გუნდური ადგილი, ერთი — ოქროს, სამი — ვერცხლისა და ორი—ბრინჯაოს მედალი. ვინ იტყვის, რომ „ბებრებს“ აკლდათ ახალგაზრდული ჟინი და შემართება? ვინ იტყვის, რომ თავისი წილი სიხარული არ მოუტანეს მათ მშობელ ქვეყანას.

სურათზე: საფრანგეთიდან წარმატებით დაბრუნებულნი (მარცხნიდან) მევლუდ ჩხაიძე, ზაურ სახვაძე, ნუგზარ მამულაშვილი, თემურ დვალიშვილი, ჯემალ ფიცხელაური, ავთანდილ თოდრია და მათი მწვრთნელი ოლეგ იაძე.

ჯამარ ლომაძის ფოტო.

## ჩვენი ენა, ქართული...

# „სონდასობა“

ბოლო წლებში „ლელოს“ ფურცლებზე არაერთი წმინდაწყლის ქართული სიტყვა თუ ტერმინი გამოჩნდა, რომლებმაც თამამად შეცვალეს უცხოური გამოთქმები, რაც მანამდე იყო გაბატონებული.

ახლა გვსურს კიდევ ერთი ძველქართული ტერმინი გაგაცნოთ. ესაა სიტყვა „სონდასობა“. გახსოვთ ალბათ, რუსულ „დოსუგ“-ს ხან რას ვუსადაგებდით, ხან რას, ტევადი ქართული თარგმანი კი თითქოს არ მოიძებნებოდა, მაგრამ საბას განმარტებით სონდასობა ნიშნავს შრომისაგან განსვენებას. „დოსუგ“-ის უკეთესი შესატყვისი რაღა გვინდა.

მადლობას მოვახსენებთ სპორტის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ბატონ ვაჟა ნუცუბიძეს, რომელმაც ზემოხსენებული ძველქართული სიტყვის გაცოცხლება შემოგვთავაზა.

## დებიუტანტები



ჯოხაძე აკაკი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

დაიბადა 1985 წ. 24 ივლისს მარტყოფში.

სწავლობს მარტყოფის II საშუალო სკოლის V კლასში.

სიმაღლე — 130 სმ, წონა — 35 კგ.

მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე და სპორტის ოსტატი იმედა ფრენუაშვილი.

ვარჯიში დაიწყო 1992 წელს.

საქართველოს ჭაბუკთა (1981-83 წ.წ. დაბადებულნი) პირველობაზე III ადგილი დაიკავა.

გომელის კომერციული ტურნირის ჩემპიონი (1995 წ.)

ტუხა ივანაშვილი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

დაიბადა 1984 წ. 30 სექტემბერს მარტყოფში.

სწავლობს მარტყოფის I საშუალო სკოლის V კლასში.

სიმაღლე — 130 სმ, წონა — 32 კგ.

მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე და სპორტის ოსტატი იმედა ფრენუაშვილი.

ვარჯიში დაიწყო 1992 წელს.

საქართველოს ჭაბუკთა (1981-83 წ.წ. დაბადებულნი) პირველობაზე IV ადგილი დაიკავა.

გომელის კომერციული ტურნირის II პრიზიორი (1995 წ.)



# მარტყოფელები და გოდერძი ჯოხაძე

### ანუ საქმის კეთება ვისაც სურს, უმოქმედობის მიზეზებს არ ეძებს

გომელში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა კომერციულ ტურნირში საქართველოდან ოთხი ნორჩი ფალავანი — მარტყოფელი ჭაბუკები აკაკი ჯოხაძე, ტუხა ივანაშვილი, ალეკო ივანაშვილი და დათო შპეტიშვილი მონაწილეობდა.

ასეთი მოკრძალებული წარმომადგენლობის მიუხედავად, 320 თანატოლში ჩვენებიდან ერთმა პირველი პრიზი დაიმსახურა და ერთმაც — მეორე. ტურნირის ჩემპიონი გახდა აკაკი ჯოხაძე, რომელმაც ოთხი შეხვედრა მოიგო. თანაც ფინალში ადგილობრივ მოჭიდავეს აჯობა, რაც, თავისთავად, დიდ „გმირობად“ უნდა ჩაითვალოს. კარგად იასპარეზა ტუხა ივანაშვილმაც. მან ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგო და ერთი, ფინალური კიეველ თანატოლთან უმნიშვნელო სხვაობით დათმო. ალეკო ივანაშვილმა ორი ბრძოლა მოიგო, ორიც წააგო, შპეტაშვილმა კი შესაბამისად პირველ შეხვედრაში იმარჯვა, მერე კი ორჯერ დამარცხდა.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა ინფორმაციისათვის, მაგრამ უსამართლობა იქნება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ მარტყოფელ ენთუზიასტზე, ამ ბიჭუნებისა და ბევრი ცნობილი მოჭიდავის აღმზრდელზე გოდერძი ჯოხაძეზე, რომელიც მუშაობს სკოლაში და რომლის კეთილსინდისიერება, მონდომება, საქმისადმი სიყვარული მართლაც სამაგალითოა და მისაბაძი. გოდერძი ჯოხაძემ ბევრი სახელოვანი მოჭიდავე გაზარდა მატყოფში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ახალგაზრდებში, დაფასებული ფალავნები მოზრდილებში, ისეთები როგორებიც არიან ზაურ ივანაშვილი, ტარიელ მელელაშვილი, გიორგი ფრენუაშვილი, კობა გულიაშვილი და ბევრი კიდევ სხვა. მაგრამ იგი დღემდე ვერ ისვენებს, მუშაობს უანგაროდ, შიშველ ენთუზიაზმზე, ცდილობს დიდ სპორტში დააკვალიანოს ბიჭუნები და ამით კეთილი საქმე გააკეთოს ჭიდაობისათვის.

## მოკლედ...

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის ფალავანთა კლუბში გამართულ ღია პირველობაში მონაწილეობდნენ ამ აკადემიის, თსუ-ს სამედიცინო აკადემიის, აგრეთვე ქუთაისის, ოზურგეთის, სამტრედიის, ბათუმის, ბორჯომის, ბაღდათის წარმომადგენლები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ა. ბოლქვაძე, ა. სვანიძე, თ. კუპატაძე, მ. ვახტანგაძე (ყველა — სპორტის აკადემია), მ. ნიშნიანიძე (ქუთაისი), კ. ჩიჩეიშვილი, კ. ვაშაკიძე (ორივე — სამტრედია).

კარატე. საერთაშორისო ორგანიზაციის „კიოკუშუნკაიკანის“ საქართველოს ფილიალის შესარჩევ ტურნირში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს ა. ჩუბინიძემ და ი. მიქელაშვილმა.

ინფორმაციები მოგვაწოდა
ირაკლი დოლაბერიძემ

სპორტული ცეკვები. საქართველოს თასის გათამაშება. გამარჯვებულები: 14 წლამდე ასაკში — დათო ნარინდოშვილი — ჟულიეტა ბასიაშვილი. 16 წლამდე — მამუკა ბახტაძე — ხატია ხატიაშვილი. ასპარეზობა ჩაატარა საქართველოს სამეჯლისო (სპორტული) ცეკვების ასოციაციამ.

# ანანდი: მე კასპაროვმა გამაცურა

ვიშვანათან ანანდი გარი კასპაროვთან მატჩის წაგების მიუხედავად, სულაც არ გამოიყურება იმედგადაწურულად და განწირულად. აი, რა უპასუხა მან ჟურნალისტების შეკითხვებს:

● როგორია თქვენი გეგმები ამ მატჩის შემდეგ?

— ცოტაოდენს დავისვენებ, შემდეგ კი კვლავ ჩავერთვები შესარჩევ შეჯიბრებებში, რათა მოვიპოვო მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება.

● კასპაროვმა გააკრიტიკა თქვენი გუნდი, რომელმაც, მისი აზრით, თქვენთვის არასწორი სამატჩო ტაქტიკა აირჩია. რას იტყვით ამის შესახებ?

— მე არ მინდა რამეში გავამტყუნო ჩემი მწვრთნელები. გეთანხმებით, მეცხრე პარტიის შემდეგ უსიცოცხლოდ ვთამაშობდი, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი გამოცდილების უქონლობა გახლავთ.

● ხომ არ აპირებთ ამ მატჩზე წიგნის გამოცემას?

— არა, ასეთი გეგმები არა მაქვს.

● ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი თქვენს ფსიქოლოგიურ განწყობაში უხეშმა შეცდომამ, რომელიც მეთერთმეტე პარტიაში მოგივიდათ?

— დიახ, ითამაშა. ეს შეცდომა ნამდვილად ბავშვური იყო, იგი არ უნდა მომსვლოდა.

ამ შეცდომის შესახებ ანანდმა თავის მეგობრებს ზოგიერთი სხვა რამეც უთხრა. როგორც გამოირკვა, იგი კასპაროვმა, უბრალოდ, გააცურა და ეს ნამდვილი მსახიობივით გააკეთა.

აი რა მოხდა ამ მეთერთმეტე პარტიაში, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, ხაზი გადაუსვა ანანდის იმედებს. სვლა რომ გააკეთა, კასპაროვმა სახე შეიჭმუხნა, თითქოს მძიმე შეცდომა მოუვიდა. გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს იგი ძალიან ნერვიულობდა და ანანდმაც დაუჯერა მსოფლიო ჩემპიონს! სინამდვილეში კასპაროვი კი არ შემცდარა, არამედ მეტოქეს ეშმაკური მახე დაუგო. ანანდმა სწრაფად გააკეთა სვლა და... წააგო.

როგორც ინდოელმა დიდოსტატმა განაცხადა, ამ „ბავშვური“ შეცდომის შემდეგ იგი უკვე გონს ველარ მოვიდა.

მოამზადა გივი თორელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე თამაშობდა ჩემბერლენი

(პირველი გვერდიდან)

შეკრებილი ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მატჩის ბოლოს დაუჯერებელი რამ მოხდებოდა და აკი მოხდა კიდეც.

„უორიორზი“, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე დაწინაურდა — 19:3. ამ ცხრამეტი ქულიდან 13 ჩემბერლენს ეკუთვნოდა, თანაც 7 ქულა ფილადელფიელთა ლიდერმა საჯარიმო სროლებით აიღო, რაც ასევე დაუჯერებელი გახლდათ — უილტი საჯარიმოებს ჩვეულებრივ ცუდად ესროდა და ბევრჯერ ამის გამო მის გუნდს შეხვედრა წაუგია.

მატჩის შემდეგ კორესპონდენტებთან საუბარში ჩემბერლენმა განაცხადა: „ვგრძნობდი, რომ ამ საღამოს კარგად უნდა მეთამაშა, მაგრამ ასი ქულის ჩაგდებას ნამდვილად არ ვფიქრობდი“. პირველი პერიოდის მიწურულს „ნიკსი“ რიჩი გირჩნის წყალობით თითქმის მიუახლოვდა „უორიორზს“. ამ გუნდებს ერთმანეთისგან მხოლოდ 8 ქულა ჰყოფდა — 76:68. ჩემბერლენს, რომელსაც თავდაპირველად ბაკნერი „იჭერდა“, უკვე 59 ქულა ჰქონდა აღებული, მაგრამ აზარტში იყო შესული და არ ცხრებოდა. ბაკნერმა მალე მიიღო 6 საჯარიმო, დატოვა მოედანი და თავისი მისია დარელ იმჰოფს გადასცა. ეს იყო შვება, იგონებდა მერე ბაკნერი, და რახან კოშმარებს თავი დავაღწიე, ანგარიში აღარც მაინტერესებდა.

24 წუთის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ძველი რეკორდი, რომელიც სხვათა შორის, იმავე ჩემბერლენისა გახლდათ (78 ქულა), იმ საღამოს უსათუოდ დაემხობოდა. ბოლო პერიოდში მაყურებელი ფეხზე იდგა, „უორიორზი“ უკვე წინ იყო 19 ქულით (125:106), მაგრამ ვილას აინტერესებდა ანგარიში? იმჰოფმა მეექვსე ჯარიმა მიიღო და დატოვა მოედანი.

„ნიკსის“ მწვრთნელმა ფრენკ მაკგაირმა, სხვა გამოსავალი რომ არ ჩანდა, ტაქტიკა შეცვალა. მან მოთამაშეებს ურჩია განზრახ დაერღვიათ 25 წამის წესი და ამ გზით გაეყვანათ დრო. ჩემბერლენს კი... სარეკორდო ყულაბაში 96 ქულა ჰქონდა „ჩადებული“. ასამდე ორად-ორი სროლა იყო დარჩენილი, 1 წუთსა და 7 წამში — 4 ქულა. ჩემბერლენმა ორი საჯარიმო მიზანს დააცილა და „ნიკსმა“ მაშინვე შეამცირა სხვაობა. მატჩის დამთავრებამდე 19 წამით ადრე (ჩემბერლენს უკვე 98 ქულა აქვს ჩაგდებული) ლერსას თითქმის ფარქვეშ გაჰყავს ჩემბერლენი, მაგრამ ბურთი მიზანს სცდება.

მატჩის დამთავრებას მხოლოდ 7 წამი აკლია, ბურთს „ნიკსი“ ფლობს. იგი, ბუნებრივია, აუჩქარებლად გადადის მეტოქის ნახევარზე. ჯონ გრინი გამოზომილ პასს აძლევს თავის პარტნიორს დავიდ ბადის და ამასობაში დროც უნდა დამთავრდეს. მაგრამ ჩემბერლენი უეცრად წარმოუდგენლად მაღალ ნახტომში ეუფლება ამ ერთი შეხედვით გონივრულ გადაცემას, სდევამს ორ ნაბიჯს (როგორც მერე გაზომეს, ფარავს დაახლოებით 12 მეტრს) და ისეთი ძალით ტენის ბურთს მოწინააღმდეგის კალათში, რომ ფარის ერთი ნაწილი ტყდება.

ადვილი წარმოსადგენია რა ხდებოდა ამ დროს მოედანზე, შემოცვივდნენ მოთამაშეები, მწვრთნელები, მაყურებლები. ჩემბერლენი ხელებში აყვანილი გაჰყავთ მოედნიდან. მატჩს „ფილადელფია“ იგებს ანგარიშით 169:147. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი მოედანზე იმ დღეს უილტონ ჩემბერლენი იყო, რომელმაც თავის გუნდს 100 ქულა შესძინა.



უილტონ ჩემბერლენი

## თანამედროვენი ჩემბერლენზე

ბობ კოუსი („ბოსტონ სელტიკსის“ კაპიტანი): „ყველამ კარგად იცის რას წარმოადგენს უილტი. მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე პირდაპირ ვაცხადებ, რომ სულ მალე ლიგას არ დასჭირდება არც გამთამაშებელი, არც დრიბლიორი (კოუსს მხედველობაში ჰყავდა საკუთარი თავი, ვინაიდან მისი სიმაღლე იყო 183 სანტიმეტრი). გუნდში იქნებიან მხოლოდ ისეთი გიგანტები, როგორიც ჩემბერლენია. სანამ ის მარტოა, კიდევ შეიძლება თამაში და მოგება. მაგრამ როცა გუნდში ორი ან სამი ჩემბერლენი გაჩნდება, ალარაფერს ვამბობ ხუთივეზე, ვაი მისი ბრალი, ვისაც არ ეყოლება ჩემბერლენი.

პოლ განემი („სენტ-ლუის ჰოკსის“ მწვრთნელი): „გული მერევა, როცა ჩემბერლენს ვუყურებ, თუნდაც ყოველ მატჩში გუნდს 100 ქულა მოუტანოს. განა ეს თამაშია, განა ეს კალათბურთია? თუ კალათბურთი გსურთ, დაუყოვნებლივ უნდა გააძევოთ იგი მოედნიდან“.

ედ მაკოლი („ფილადელფია უორიორზის“ მწვრთნელი): „როცა ჩემბერლენი მეორედ დაბრუნდა „ჰარლემიდან“, მე მას ვუთხარი — შენც ისევე უნდა ურტყა მეტოქეებს, როგორც შენ გირტყამენ. შენ მათ შორის ყველაზე ძლიერი ხარ და ნურავის დააჩაგვრინებ თავს. ურტყი შენც, უფრო ძლიერ, უფრო თავგამეტებით, და იცოდე, უსათუოდ დაგანებებენ თავს“.

რეი ფელიქსი („დეტროიტ პისტონზის“ მოთამაშე, პირველი კალათბურთელი, რომელსაც ახალბედა ჩემბერლენის წინააღმდეგ მოუხდა თამაში) მატჩამდე იგი ამბობდა: ჩემბერლენი არ არის პირველი ცოცხალი ჩონჩხი, რომლის წინააღმდეგაც გამოვსულვარ. თუ მან ამ მატჩში ათი ქულა მაინც აიღო, შეუძლია გამარჯვების დეპეშა გააგზავნოს შინ“. მატჩის შემდეგ: „არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, მისი შეჩერება რომ შეძლოს. ჩემბერლენი ნამდვილი ჯოჯოხეთია“.

ბილ რასელი („ბოსტონ სელტიკსის“ მოთამაშე): „მე მიჭირს მისი შეჩერება. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მისი შეჩერება საერთოდ შეუძლებელია. იგი ჩემზე უფრო მაღლა ხტება დაახლოებით ერთი ფუტით და ეს მას უდიდეს უპირატესობას ანიჭებს. როცა ვცდილობ გზა გადავუღობო კალათისკენ, ბავშვივით გვერდზე მაგდებს. უილტი წარმოუდგენლად ღონიერია, მაგრამ ამ ძალას ბოროტად არ იყენებს.“

ბილ რასელი (მოგვიანებით, როცა „ბოსტონ სელტიკსის“ მწვრთნელი გახდა): „ჩემბერლენი, რა თქმა უნდა, არ არის ჩვეულებრივი მოვლენა კალათბურთში, მაგრამ კალათბურთი კოლექტიური სპორტია და ყოველი მოთამაშე უნდა ცდილობდეს პარტნიორს პირობები შეუქმნას. ამას ჩემბერლენზე ვერ ვიტყვით. იგი თამაშობს მარტო და ამიტომ გამუდმებით ითხოვს ბურთს. იგი ყოველთვის საუკეთესო ბომბარდირია, აი მისი გუნდი კი ხშირად მარცხდება.“

ოსკარ რობერტსონი („ცინცინატი როიალზის“ მოთამაშე): „უილტონ ჩემბერლენი პასის ხელოვნებასაც რომ იყოს დაუფლებული, კალათბურთის თამაში საერთოდ არ ელირებოდა“.

## პრეზიდენტები სპორტში

# „დაუღალავი ბერიკაცის“ მოღვაწეობა და აღსასრულის დასაწყისი?

საიდან მოდიან პრეზიდენტები სპორტში, ვინ არიან ისინი, ვინ იყვნენ, რას წარმოადგენდნენ, რა წვლილი შეიტანეს თავიანთი ქვეყნისა თუ მსოფლიო სპორტის განვითარებაში, რა დამსახურებით იკავებენ უმაღლეს თანამდებობას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში?

„ლელო“ რამდენიმე ასეთ პიროვნებას წარმოგიდგენთ. ვიწყებთ, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთით. მაშ ასე, ახლოს გაეცანით ჟოაო ავალანჟს — ფიფას პრეზიდენტს.

ჟ. ავალანჟი დღეს მსოფლიოში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული სპორტული მოღვაწეა — გაისად 80 წლისა შეიქნება. განათლებით იურისტია, ყმაწვილობაში მისდევდა ცურვასა და წყალბურთს, მაგრამ როგორც ყველა ბრაზილიელი, მაინც ფეხბურთს ეთაყვანებოდა. 1936 წელს, 20 წლის ჭაბუკი ცურვაში ეროვნული ნაკრების წევრია და ბერლინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს, ხოლო 1952 წელს ჰელსინკში წყალბურთში ასპარეზობს. მანამდე კი (1931-32 წწ) რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონი იყო იუნიორ ფეხბურთელთა რიგებში.

ფიფას პრეზიდენტად რომ აირჩიეს, 58 წლისა იყო. მანამდე, 1957 წლიდან ნაყოფიერი მოღვაწეობით გაითქვა სახელი როგორც ეროვნული სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელმა. სწორედ ამ ავტორიტეტმა განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 1963 წელს სოკის წევრად აირჩიეს. ავალანჟი დღემდე დაუღალავად იღვწის ორ ფრონტზე, ძალიან ბევრს მოგზაურობს. როგორც ფიფას პრეზიდენტი და როგორც სოკის წევრი, ასრულებს უმნიშვნელოვანეს მისიას. ცხადია, არ დარჩენილა ქვეყანა, სადაც არა თუ ერთხელ, მრავალგზის არ ჩასულა საქმიანი ვიზიტით. გახსოვთ, ალბათ, 1985 წელს თბილისში გაიმართა იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირი და ავალანჟი თბილისშიც ჩამოვიდა. იგი მუდამ მხარში უდგას ქვეყნებს, რომლებსაც გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად ესაჭიროებათ მხარდაჭერა და თანადგომა, ცხადია, არც საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციაა გამონაკლისი.

ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ავალანჟი ფიფას პრეზიდენტია. ამ ხნის მანძილზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოკვეთილად ამაღლდა ფეხბურთის ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში, სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კუთხეში გაიკვლია ფეხბურთმა გზა, აშენდა ახალი სტადიონები, ეწყობა იუნიორთა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატები, ფეხბურთმა დარბაზებიც დაიპყრო, მტკიცედ დამკვიდრდა ქალთა შორის.

ავალანჟის პირადი ავტორიტეტის წყალობით ფეხბურთმა გაუძლო ერთის მხრივ „ყოვლისმცოდნეთა“ და მეორის მხრივ თავგამოდებულ მოდერნიზატორთა შემოტევებს. უწოდეთ, რაც გნებავთ, თუნდაც გამოუსწორებელი კონსერვატორი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ავალანჟი მუდამ ხმალამოღებული იცავს ტრადიციებს ფეხბურთის თამაშის წესებში, იცავს მის სანახაობრივ მხარეს.

როგორი იქნება ფეხბურთი XXI საუკუნეში?

ავალანჟი ასე პასუხობს: „ჩემი აზრით, არსებობს ოთხი სკოლა — ლათინოამერიკული, ლათინოევროპული, ჩრდილოევროპული და აღმოსავლეთევროპული. ნუ მომთხოვთ დეტალურ ანალიზს. მოკლედ ვიტყვი, თუ „ლათინელების“ ურთიერთობა ბურთთან ფრთხილი და სიყვარულით გაჯერებულია, ვთქვათ, როგორც მამაკაცის ურთიერთობა ცოლის მიმართ, ევროპელები მომთხოვნი და მბრძანებლური არიან, როგორც შვილის მიმართ. ამ სკოლებს გააჩნიათ თავისებური სიძლიერე და მშვენიერება. ფეხბურთის მომავალი მათ დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებაშია“. დავძენთ, რომ ავალანჟის ეს შეფასება — მოსაზრება 14 წლის წინანდელია და უფრო მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

იცნობს თუ არა ავალანჟი ქართულ ფეხბურთს? ცხადია, იცნობს უფრო უკეთ, ვიდრე იცნობდა თბილისში სტუმრობამდე და ახლა კიდევ უფრო უკეთ, როცა ჩვენი ეროვნული ფედერაცია ფიფას წევრი გახდა და ქართველი ფეხბურთელები დამოუკიდებლად ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს საერთაშორისო არენაზე.

1982 წელს ავალანჟი მერვედ ეწვია მოსკოვს. მაშინ, ერთმა ჟურნალისტმა მას თხოვა აზრი გამოეთქვა საბჭოთა ფეხბურთთან დაკავშირებით: „გულით მიხარია, რომ საბჭოთა ფეხბურთელები კვლავ შევიდნენ მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში. მსოფლიოს მრავალმა გამოცემამ შარშანდელი შედეგებით მსოფლიოს 10 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ერთბაშად სამი საბჭოთა „ვარსკვლავი“ შეიყვანა: ბლოხინი, შენგელია და ჩივაძე, ისინი მართლაც საუკეთესო ოსტატები არიან“. აი, 1982 წელს, შესაძლოა ავალანჟმა ნამდვილად არ იცოდა ამ სამი ფეხბურთელიდან ვინ ვინ იყო ეროვნებით.



ჟოაო ავალანჟი

ჟოაო ავალანჟი მხოლოდ საფეხბურთო მოღვაწე როდია. ის არის რამდენიმე მსხვილი კომპანიის პრეზიდენტი, მათ შორის ტრანსპორტისა და სადაზღვევო კომპანიებისა. ცხოვრობს რიო-დე-ჟანეიროში. წარმოშობით ბელგიელია, მსხვილი მილიონერი.

ავალანჟის კავშირი ბიზნესთან, როგორც ბოლო ხანებში ირკვევა, მხოლოდ საკუთარი კომპანიებით არ ამოიწურება. მას სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ მაფიასთან ურთიერთობისათვის. პროკურორი, რომელიც საქმეს გაეცნო, ამბობს: „ავალანჟი ფულს იღებს იატაკქვეშა ლატარიიდან“. ახლა მას იმაშიც ადანაშაულებენ, რომ სწორედ მაფიოზები, თანაც ახლობლები შემოიკრიბა ფიფაში, კონკრეტულად კი ვიცე-პრეზიდენტების გვარებს ასახელებენ. ერთი მათგანია ავალანჟის სიძე რიკარდო ტექსეირი.

ავალანჟი — ფიფას რიგით მეშვიდე, ხოლო ამ ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი სამხრეთ ამერიკიდან, ციურიხის შტაბბინაში ალბათ ბოლო თვეებს ითვლის. მის სერიოზულ კონკურენტებად მიიჩნევენ უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს, რომელიც ახლა უკვე დაუფარავად ლაპარაკობს თავის განზრახვაზე. თუმცა, არა გვგონია, ბოლოდროინდელი იერარქიული დაპირისპირება ამ ორ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციას შორის, ამთავითვე ფიფას პრეზიდენტის მორალურ დამარცხებას ისახავდეს მიზნად.

## იყო ასეთი შემთხვევა...

# „მეტრეველს... ძლიერიშვილი თუ დაიჭერს მხოლოდ!“

1956 წლის საფეხბურთო სეზონი იდგა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც მოსკოვის „ტორპედოს“ ახალბედა ფეხბურთელი სლავა მეტრეველი, რომ იტყვიან, პირდაპირ ფრინავდა მწვანე მინდორზე. ავტოქარხნელთა გუნდში მისვლისთანავე იგი ღირსეული პარტნიორი გახდა ტყავის ბურთის ისეთი ოსტატებისა, როგორებიც იყვნენ ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი, ბორის ბატანოვი, გენადი გუსაროვი.

სწორედ „ტორპედოსთან“ თამაშისთვის ემზადებოდა თბილისის „დინამო“, როდესაც დიღმის საწვრთნელ ბაზას მოულოდნელად „მაღალი სტუმრები“ ეწვივნენ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გიორგი გეგეშიძე, რესპუბლიკის კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი თამაზ ჯანელიძე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე. მათ, რომ იტყვიან, ზარ-ზეიმით, მთელი ამალა მოჰყვებოდა შავი „ვოლგებით“ — განყოფილების გამგეები, თანაშემწეები, რეფერენტები, დაცვა და ა.შ. დიღმის ბაზამ ძლივს დაიტია ეს მოზღვავებული სავტომობილო კორტეჟი.

ფეხბურთელები სავარჯიშო მოედანზე, დიდი ჭადრის ქვეშ შეკრიბეს ჩრდილში. ვასილ მჟავანაძემ სახელდახელო შეკრება იმით დაიწყო, რომ იკითხა, თუ როგორი განწყობილებაა გუნდში, მზად არიან თუ არა დინამოელები ასეთ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლისთვის. თბილისელთა უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ და გუნდის კაპიტანმა ავთანდილ ღოღობერიძემ დადებითად უპასუხეს შეკითხვებს და დასძინეს, რომ ეცდებიან არ შეარცხვინონ ჩვენი გულშემატკივრები. ეტყობოდა, რომ ვ. მჟავანაძე კმაყოფილი დარჩა პასუხებით. ბოლოს მაინც იკითხა: „ერთი ის მითხარით, მეტრეველს ვინ დაიჭერს?“

ხმა არავის ამოუღია. ვ. მჟავანაძემ გაიმეორა კითხვა და რატომღაც დინამოელთა მარცხენა მცველს გივი ხოჭოლავას შეხედა. გივიმ გვერდით მდგარ ვოვა ელოშვილს გადაუჩურჩულა: „არ გამიწყალა გული ამ კაცმა!

— გაჩერდი არ გაიგოს! — გამოსცრა კბილებში ვ. ელოშვილმა.

არ ვიცი გაიგონა თუ არა მჟავანაძემ ეს სიტყვები, მაგრამ რატომღაც ჭიქურ შეხედა გ. ხოჭოლავას თვალებში: „მაინც ვინ დაიჭერს ხვალ მეტრეველს?!“

გივიმ აქ უკვე ველარ მოითმინა და...

— ვინ დაიჭერს და ძლიერიშვილი, მეტრეველის დამჭერი მე სხვა არავინ მეგულება საქართველოში.

— ძლიერიშვილი? ალბათ, დუბლში თუ თამაშობს! — ფრთხილად იკითხა ვ. მჟავანაძემ.

ამით კიდევ უფრო გათამამებული გ. ხოჭოლავა თავისას არ იშლიდა:

— ჩამოვა თუ არა მეტრეველი თბილისში, დაავალეთ ძლიერიშვილს დაიჭიროს იგი — ჩვენც გავთავისუფლდებით და თქვენც!

ჩუმად, შეუმჩნევლად იცინოდნენ გ. გეგეშიძე, თ. ჯანელიძე და გ. სიხარულიძე. — გენერალი ალექსანდრე ძლიერიშვილი ხომ იმხანად თბილისის მილიციის უფროსი იყო.

აქ კი მიხვდა მჟავანაძე რაშიც იყო საქმე, დინამოელებმა ასე რომ „გააცურეს“ იგი. გაბრაზებული წამოხტა სკამიდან და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა მანქანას. „მეფეს“ მთელი ამალა დაედევნა უკან...

რამდენიმე წუთში ბაზაზე გ. სიხარულიძე დაბრუნდა. გ. ხოჭოლავა დარწმუნებული იყო, რომ ახლა მას ნამდვილად გააგდებდნენ გუნდიდან, მაგრამ...

— რამ მოგაფიქრებინა ეს, შე შობელძაღლო! — განრისხებულად იკითხა გიორგი სიხარულიძემ, მერე უცებ გაეცინა. ყველა მიხვდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს პირველმა პირმა აპატია „გათამაშება“.

ოთარ ნოზაძე



ფეხბურთში ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონისა და ახალგაზრდული ნაკრების წევრის თამაზ თაბორიძის ხსოვნას მიეძღვნა ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი, რომელიც თბილისში გაიმართა. მონაწილეობდნენ: „დინამო“, „მართვე“, „ფეიქარი“, „კავკასიონი“, 35-ე სკოლა, „ამიკო“, „მუხიანი-95“, „სიხარული — მერანი“.

ფინალში „სიხარული — მერანის“ გუნდმა 5-2 მოუგო „კავკასიონს“, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი. (პრეზიდენტი დემურ ჭაფოძე, — სკოლის დირექტორი დავით აბაშიძე, მწვრთნელი იუზა წილოსანი).

მესამე ადგილზეა „დინამო“. საუკეთესო მოთამაშის პრიზი წილად ხვდა გიორგი თაბორიძეს.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი: კობა ჩიტაია, ზვიად დავითაია, გიორგი მინდაძე, ზვიად ხრიკაძე, რომან წილოსანი, გიორგი თაბორიძე, ოთარ არჯევანიძე, დავით ჭანკოტაძე, შმაგი ხეცურიანი, მანუჩარ ბაბუხადია, ლევან ცარციძე, ვლადიმერ ღუდუშაური, გიორგი ჩალაძე, კობა ფიცხელაური, გოჩა გოქაძე, ლაშა გობეჯიშვილი, ვახტანგ ფოლადიშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტო

## კალათბურთი

### ევროპის ჩემპიონატი



## 3 თვით არდადეგებზე

შედგა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპის — ჯგუფური ტურნირების მატჩები. გთავაზობთ ბოლო ორი ტურის შეხვედრათა შედეგებს.

**A ჯგუფი**

ბელარუსი — სლოვაკეთი 94:85, ბოსნია — საბერძნეთი 73:76, საქართველო — ისრაელი 84:89, ბელარუსი — საქართველო 102:76, ისრაელი — ბოსნია 67:73, სლოვაკეთი — საბერძნეთი 64:80.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 4 | 3 | 1 | 7 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| ისრაელი | 4 | 2 | 2 | 6 |
| ბოსნია | 4 | 2 | 2 | 6 |
| საქართველო | 4 | 1 | 3 | 5 |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 3 | 5 |

**B ჯგუფი**

ესტონეთი — რუსეთი 73:88, ინგლისი — გერმანია 66:75, პორტუგალია — ლატვია 56:65, ლატვია — რუსეთი 71:112, პორტუგალია — ინგლისი 72:75, გერმანია — ესტონეთი. ეს მატჩი მოგვიანებით გაიმართება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| ლატვია | 4 | 2 | 2 | 6 |
| ესტონეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 5 |
| ინგლისი | 4 | 1 | 3 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 4 | 4 |

**C ჯგუფი**

ფინეთი — იტალია 68:92, მაკედონია — სლოვენია 73:59, უნგრეთი — ჩეხეთი 85:80, სლოვენია — ფინეთი 90:61, ჩეხეთი — იტალია 68:77, უნგრეთი — მაკედონია 82:80.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 8 |
| ჩეხეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| ფინეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| სლოვენია | 4 | 1 | 3 | 5 |
| მაკედონია | 4 | 1 | 3 | 5 |

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ხორვატია 79:77, თურქეთი — რუმინეთი 83:56, ჰოლანდია — უკრაინა 71:88, უკრაინა — ხორვატია 67:60, ჰოლანდია — რუმინეთი 99:77, თურქეთი — ბულგარეთი 90:66.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 4 | 3 | 1 | 7 |
| თურქეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| ხორვატია | 4 | 2 | 2 | 6 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 3 | 5 |
| რუმინეთი | 4 | 0 | 4 | 4 |

**E ჯგუფი**

შვეცია — ლიტვა 83:85, შვეიცარია — საფრანგეთი 48:87, პოლონეთი — ბელგია 84:85, ბელგია — ლიტვა 85:83, საფრანგეთი — შვეცია 85:56, პოლონეთი — შვეიცარია 81:68.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 8 |
| ბელგია | 4 | 3 | 1 | 7 |
| ლიტვა | 4 | 2 | 2 | 6 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| შვეცია | 4 | 1 | 3 | 5 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 3 | 5 |

ევროპის ჩემპიონატზე დადგა სამთვიანი არდადეგების პერიოდი. ჯგუფური ტურნირები განახლდება 1996 წლის 28 თებერვალს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან:

**A ჯგუფში.** ბოსნია — სლოვაკეთი, ისრაელი — ბელარუსი, საბერძნეთი — საქართველო.

**B ჯგუფში.** ესტონეთი — ლატვია, გერმანია — პორტუგალია, რუსეთი — ინგლისი.

**C ჯგუფში.** ფინეთი — ჩეხეთი, სლოვენია — უნგრეთი, იტალია — მაკედონია.

**D ჯგუფში.** ბულგარეთი — უკრაინა, თურქეთი — ჰოლანდია, ხორვატია — რუმინეთი.

**E ჯგუფში.** შვეცია — ბელგია, საფრანგეთი — პოლონეთი, ლიტვა — შვეიცარია.

# პრიუდომი, რაველი და სხვანი

**სპორტული** ჟურნალისტებისა თუ ექსპერტთა მრავალრიცხოვან გამოკითხვებს შორის ამ ბოლო წლებში პოპულარობა მოიპოვა ერთმა, შედარებით ახალმა ანკეტამ, რომელსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია აწყობს 1987 წლიდან ჩვენი დროის უძლიერესი მეკარის გამოვლენის მიზნით.

საინტერესო შედეგები მოიტანა ბოლო გამოკითხვამ. მსოფლიოს №1 მეკარედ მიიჩნიეს მიშელ პრიუდომი. ადრე იგი ბელგიის პირველი ლიგის კლუბ „მეჰელენში“ თამაშობდა, ახლა კი ლისაბონის „ბენფიკაში“ გამოდის. პრიუდომს დიდი სახელი მოუტანა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატმა. მართალია, მომდევნო ხანებში იგი ადრინდელი წარმატებით ველარ თამაშობდა, რაც დაეტყო კიდეც ბელგიის ნაკრებს. მაგრამ ეს მარცხიეტყობა, უკვე მომდევნო კონკურსში აისახება, ჯერჯერობით კი პრიუდომს სერიოზული მეტოქე არც ჰყოლია — 103 ხმა მიიღო და მთელი 30 ხმით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული თომას რაველი. პრიუდომისა არ იყოს, რაველიმაც ჩინებულად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, დიდი წარმატებით გამოდის „გეტებორგში“, რომლის ერთგულიც უკვე მრავალი წელია რჩება. ბევრს უკვირს, რატომ არ გადადის ეს შესანიშნავი მეკარე იტალიისა თუ ესპანეთის რომელიმე ცნობილ კლუბში, მით უმეტეს, რომ მოწვევა ხშირად მოსდის, მაგრამ რაველის, რომელსაც მამა ავსტრიელი ჰყავს, დედა კი შვედი, ახლა მეტად პატივმოყვარე მიზნები აქვს დასახული. საქმე ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ისლანდიელთა წინააღმდეგ მან უკვე 125-ე მატჩი ითამაშა შვეციის ნაკრებში და ამით დაეწია ინგლისელ პიტერ შილტონს. რადგანაც შილტონი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ თამაშობს, მისთვის გადასწრება რაველისთვის რაიმე პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენდა. მან დღეისათვის უკვე 128 მატჩი გამართა. სხვა საკითხია მსოფლიო რეკორდსმენ მაჯედ აბდულასთან (საუდის არაბეთი) გამოდავება, რომელსაც ნაკრებში თურმე 147 მატჩი ჰქონია ჩატარებული. მაჯედ აბდულა გამოეთხოვა გუნდს და, ამდენად, ამ მონაცემებს ველარ გააუმჯობესებს, ამის მიუხედავად, რაველისათვის მეტად ძნელი იქნება ამ დიდი განსხვავების ლიკვიდაცია, თუმცა თვით შვედი მეკარე საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი და ფეხბურთთან განშორებაზე ჯერ არ ფიქრობს.

ბოლო კონკურსში 53 ხმით მსოფლიოს №3 მეკარედ აღიარებულია ბრაზილიელი ტაფარელი. ტაფარელის ევროპული კარიერა ერთობ უხეიროდ წარიმართა, მაგრამ მას კვლავინდებურად აფასებს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო, ტაფარელის თამაშს იწონებს განთქმული ბრაზილიელი მეკარე ჟილმარიც.

ა, მსოფლიოს დანარჩენი საუკეთესო მეკარეებიც: 4. პეტერ შმეიხელი. დიდებულად ითამაშა ევროპის 1992 წლის ჩემპიონატში, დიდი ღვაწლი მიუძღვის დანიის გუნდის პირველობის მოპოვებაში. წარმატებით გამოდის ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“. 5. სებასტიანო როსი. შარშან მშვენივრად ითამაშა „მილანში“, რომელიც იტალიის ჩემპიონიც გახდა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც. წლეულს „მილანმა“ ორივე ამ ფრონტზე მარცხი იგემა და ველარც როსი თამაშობდა უწინდელი სიძლიერით. საინტერესოა, რომ როსის იტალიის ნაკრებში არ იწვევენ. 6. ჯანლუკა პალიუკა. დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ. ახლა მილანის „ინტერში“ გამოდის და დიდი კონკურენციის მიუხედავად მაინც იტალიის №1 მეკარედ ითვლება. 7. ერიკ ტორსტვედტი. თამაშობს ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“. დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ ნორვეგიის ნაკრები ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი აუტსაიდერიდან მეტად ძლიერ და ავტორიტეტულ ძალად იქცა. 8. ხორხე კამპოსი. თამაშობს მექსიკის ნაკრებსა და „უნივერსიდად აუტონომაში“. ევროპაში ნაკლებად იცნობენ, მაგრამ სახელი მოიხვეჭა მრავალრიცხოვან ამერიკულ შეჯიბრებებში. 9. ბრონისლავ მიხაილოვი. ბულგარეთის ნაკრების უცვლელი მეკარე. კარგა ხანს თამაშობდა საფრანგეთის „მიულუზში“, შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და გამოდიოდა „ბოტევში“. ახლა ინგლისის „რედინგში“ თამაშობს. 10. დევიდ სიმენი. თამაშობს ინგლისის ნაკრებსა და ლონდონის „არსენალში“. უცნაური რამ მოუვიდა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ჯერ იყო და ბრწყინვალედ ითამაშა ნახევარფინალში გენუის „სამპდორიის“ წინააღმდეგ, როცა 11-მეტრიანი დარტყმები მოიგერია, ფინალში კი გუნდი სწორედ მის გამო დამარცხდა „რეალ-სარაგოსასთან“.



**გივი გამრეკელი.**

სურათზე: პირუდომი

---

### ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# პაოლო ფუტრე — „დრიბლინგის პრიმადონა“

**გულშემატკივარი სულს არ იშურებს იმ ფეხბურთელებისათვის, რომლებიც დრიბლინგის რთულ ხელოვნებას ფლობენ. გავიხსენოთ გარინჩა და პენტო, გაიოზ ჯეჯელავა და მიხეილ მესხი. ამასთან თუ დრიბლიორი ბომბარდირიც არის...**

იყო დრო, როცა პორტუგალიის ნაკრები ევროპაში და, თუ გნებავთ, მსოფლიოშიც ერთ-ერთ წამყვანად ითვლებოდა. მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატში (ინგლისი, 1966 წელი) მას მესამე ადგილი დარჩა. რა დაგვავიწყებს ეუსებიოს გუნდს! შემდეგში ამ ნაკრების აქციები ძლიერ დაეცა. ასე გასინჯეთ, აღარც ცალკეულ მოთამაშეებს გამოყოფდნენ. ახლა დაცემას კვლავ აღზევება მოჰყვა — პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, ლამაზი, შემტევი თამაში უჩვენა. ეს სხვებთან ერთად, „დრიბლინგის პრიმადონად“ წოდებული პაოლო ფუტრეს დამსახურებაც არის.

ფუტრეს ფეხბურთის სამყაროში დიდი სახელი აქვს. იგი (დაიბ. 1966 წლის 28 თებერვალს) სწავლობდა ლისაბონის „სპორტინგის“ ნორჩ ფეხბურთელთა სკოლაში. 1984 წლიდან „პორტუში“ გამოდიოდა. მომდევნო წელს მკვეთრად მოუმატა თამაშს და სულ რაღაც ერთი სეზონის მანძილზე თითქოსდა რიგითი თავდამსხმელიდან მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გამოჩენილ ვარსკვლავად იქცა. სწორედ ფუტრეს წყალობით, მისი თვალშეუვლები დრიბლინგისა და შედეგიანობის წყალობით იყო, რომ „პორტუ“ 1985 და 1986 წლებში პორტუგალიის ჩემპიონი გახდა.

1987 წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა ფეხბურთელის კარიერაში. გულშემატკივრებს, ეტყობა, ახსოვთ, თუ როგორი ოსტატობით თამაშობდა იგი კიევის დინამოელების წინააღმდეგ, ევროპული ქვეყნების ჩემპიონების თასზე. ეს ხომ ნამდვილი დიდი ოსტატობის დემონსტრირება იყო. გავიდა სულ ცოტა ხანი და 27 მაისს ვენაში თასის ფინალში „პორტუ“ მიუნხენის „ბაიერნს“ შეხვდა. მიმომხილველთა უდიდესი უმრავლესობა, როგორც შემდეგ გამოირკვა, უსაფუძვლოდ, წინასწარ უპირატესობას „ბაიერნს“ ანიჭებდა. უსაფუძვლოდ იმიტომ, რომ პორტუგალიელთა რიგებში თამაშობდა... ფუტრე. რაც იმ დღეს ფუტრემ გერმანელ მცველებს შავი დღე აყარა!

ა, სწორედ ამ მატჩის შემდეგ დაარქვეს ფუტრეს „დრიბლინგის პრიმადონა“ და „სეზონის აღმოჩენა“. ცხადია, იმ წლებშიც საერთაშორისო ფეხბურთში მაღალი კლასის თავდამსხმელების (და მით უმეტეს, გარემარბების) დიდი დეფიციტი იყო. ფუტრემ კი ერთბაშად მოიპოვა ავტორიტეტი და 1987 წლის ზაფხულიდან მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა.

გადის წლები. ფუტრე, რომელიც 176 სმ სიმაღლისაა და 70 კგ იწონის, კვლავ მშვენივრად თამაშობს.

— თქვენ ხშირად გადარებენ მარადონას.

— შეიძლება იმის გამოც, რომ სწრაფად ვთამაშობ და ერთმანეთის მსგავსი ცრუ მოძრაობები გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენს თამაშში სამხრეთ-ამერიკული და ევროპული ფეხბურთის თავისებური სინთეზიც არის. თავისთავად კი მარადონას ოსტატობა მიუღწეველია. მინდორზე იგი შეუდარებელია.

— თქვენ ზოგჯერ გამტყუნებენ, რომ არ გინდათ ბურთი დროზე გადასცეთ პარტნიორებს, ასე ვთქვათ, დათმოთ იგი.

— ბურთის ხანგრძლივად „დაჭერაში“ არაფერია ცუდი, თუკი შეგიძლია ეს ჰკვიანურად მოიმოქმედო. ცუდი ის არის, რომ პარტნიორებს „ვერ ამჩნევ“. მე ამას არასოდეს ვაკეთებ.

როცა პორტუგალიის ნაკრები კარგა ხანს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში არც ისე წარმატებით იბრძოდა, ბევრმა მიმომხილველმა მისი მომავალი შესაძლებლობები საკმაოდ პესიმისტურად შეაფასა. ეს შეფასება არ გამართლდა. სწორი აღმოჩნდნენ ის ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პორტუგალიელთა განკარგულებაში ახლა რამდენიმე „ყუმბარაა“. ერთ-ერთ „ყუმბარას“ კი პაოლო ფუტრე ჰქვია.



**გივი თორელი**

სურათზე: ფუტრე (ზოლიან მაისურში)

---

### მსოფლიო ჩემპიონატების სარეკორდო რიცხვი

**აფრიკის** ქვეყნებმა გვინეა-ბისაუმ და უგანდამ ამ დღეებში დაადასტურეს თავიანთი განაცხადები 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ამით ამ გათამაშების მონაწილეთა რაოდენობამ სარეკორდო რიცხვს 172-ს მიაღწია.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში 144 ნაკრები გამოდიოდა.

* * *

**ლონდონში** „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ინგლისის და შვეიცარიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. გაიმარჯვეს ინგლისელებმა 3-1.

---

## ასაკოვანი «დედოფალი»?

**ატლანტის** ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ამერიკელებმა აღმოაჩინეს, რომ მათი „სპორტის დედოფალი“ მთლად ახალგაზრდულად ვერ გამოიყურება. მძლეოსნობა კი, მოგეხსენებათ, ამერიკელთა მთავარი კოზირია ზაფხულის თამაშებზე და აი... მათ „დედოფალს“ ასაკი მოსძალებია. ასეთ დროს წამყვანი პოზიციების შენარჩუნებაზე ზედმეტია ლაპარაკი, — აღნიშნავს იქაური პრესა, დარჩენილ დროში დიდი ოფლისღვრა მოუწევს, დიდება და სიძლიერე რომ აღიდგინოს. კრიზისს პოპულარული მძლეოსნური ტურნირების გაქრობით ხსნიან. დღეს აღარავის ახსოვს კალიფორნიისა და ტეხასის ტრადიციული ასპარეზობები, რაც შეეხება სან-ხოსეს ტურნირს იგი რის ვაივაგლახით ჩატარდა. უმაღლეს სკოლებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამაში გაქრა მძლეოსნობა.

დიახ, აშშ-ს მძლეოსანთა საშუალო ასაკმა უკვე მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. 34 წლის კარლ ლუისს, მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს, 29 წლის ათჭიდელ დენ ო, ბრაიენს, 33 წლის ჯეკი ჯოინერ-კერსის, 33 წლის მაიკ კონლის, როჯერ კინგდომს, 29 წლის დენის მიტჩელს, 30 წლის გვენ ტორენსსა და სხვებს აღარავინ უმაგრებს ზურგს. აშშ-ს მძლეოსნობის სიჭარმაგე ამერიკელებთან ერთად, ევროპელებსაც გვარიან თავსატეხს გაუჩენს, ვინაიდან ძველი სამყაროს კალენდარი გადატვირთულია მსოფლიო მასშტაბის მძლეოსნური ტურნირებით. და თუ, ამერიკელმა ვარსკვლავებმა ბრწყინვალება დაკარგეს, მაყურებელი დააკლდება პარიზის, რომის, სტოკჰოლმისა და სხვა ტრადიციულ ტურნირებს.

კომპიუტერებმა დაადგინეს, რომ არაოლიმპიურ წლებში ამერიკის ტელეეკრანებზე მძლეოსნობის მოცულობა 24-ე პოზიციამდე დაეშვა. ახლა მას ბევრად უსწრებს, მაგალითად, სატვირთო ავტომანქანების რბოლა, კეტჩი და ავსტრალიელ რეგბისტთა გამოსვლებიც კი.

იგრძნო რა კატასტროფის მოახლოება ეროვნულმა ფედერაციამ, წელს უკვე ხუთი ტელეშოუ გამართა, რომლებიც აშშ-ს უდიდესი ტელეკომპანიის ენ-ბი-სის არხით გადასცეს, ამასთან ყველაზე ხელსაყრელ დროს, შაბათობით, სადილის შემდგომ. აღნიშნულ სერიას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა „ნაიკის“ ფირმამ, რომელიც, ჯერ კიდევ შარშან, საკმაოდ მორიდებული მძლეოსნური რეკლამით კმაყოფილდებოდა.

# „ლელო" — გულშემატკივრებს!

## საბოლოო მდგომარეობა — შესარჩევი მატჩები ყველა რვა ჯგუფში

# სამომავლო დივიდენდები

ევროპის ფეხბურთელთა 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, საქართველოს გულშემატკივართა, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება, ბუნებრივია, VII ჯგუფისადმი იყო მიპყრობილი, სადაც გამოდიოდა თანამედროვე ფეხბურთის ორი გიგანტი — გერმანია და ბულგარეთი და სადაც პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა ჩვენი გუნდი. განვლილ ტურნირებში ქართული ფეხბურთის დებიუტის შეფასება სპეციალისტებისათვის მიგვინდვია, თუმცა იმის თქმა აშკარად შეგვიძლია, რომ ქვეყნის ნაკრებმა ღირსეულად გაართვა თავი რთულ, საპატიო ამოცანას და სამომავლოდაც საკმაოდ სოლიდური დივიდენდები დააგროვა.

„ლელო" აგრძელებს რა ტრადიციას, გთავაზობთ შესარჩევი ჯგუფების გაშლილ ცხრილებს და კიდევ რამდენიმე დამატებით ინფორმაციას სტატისტიკის მოყვარულთათვის. მაშ ასე, ჯერ საბოლოო ცხრილები:

| | I ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | 0-0<br>1-3 | 3-2<br>2-0 | 2-1<br>0-0 | 1-1<br>2-1 | 3-0<br>4-1 | 18-9 | 21 |
| 2 | საფრანგეთი | 0-0<br>3-1 | | 0-0<br>4-0 | 0-0<br>1-1 | 0-0<br>2-0 | 2-0<br>10-0 | 22-2 | 20 |
| 3 | სლოვაკეთი | 2-3<br>0-2 | 0-0<br>0-4 | | 0-5<br>4-1 | 2-2<br>1-0 | 4-1<br>1-0 | 14-18 | 14 |
| 4 | პოლონეთი | 1-2<br>0-0 | 0-0<br>1-1 | 5-0<br>1-4 | | 1-2<br>4-3 | 1-0<br>0-0 | 14-12 | 13 |
| 5 | ისრაელი | 1-1<br>1-2 | 0-0<br>0-2 | 2-2<br>0-1 | 2-1<br>3-4 | | 2-0<br>2-0 | 13-13 | 12 |
| 6 | აზერბაიჯანი | 0-3<br>1-4 | 0-2<br>0-10 | 1-4<br>0-1 | 0-1<br>0-0 | 0-2<br>0-2 | | 2-29 | 1 |

| | II ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 3-0<br>1-1 | 4-1<br>1-1 | 2-0<br>3-0 | 2-1<br>6-0 | 2-0<br>1-0 | 25-4 | 26 |
| 2 | დანია | 0-3<br>1-1 | | 3-1<br>3-1 | 1-1<br>1-0 | 1-1<br>4-0 | 2-0<br>3-1 | 19-9 | 21 |
| 3 | ბელგია | 1-4<br>1-1 | 1-3<br>1-3 | | 1-1<br>5-0 | 2-0<br>1-1 | 2-0<br>2-0 | 17-13 | 15 |
| 4 | მაკედონია | 0-2<br>0-3 | 1-1<br>0-1 | 1-1<br>0-5 | | 3-0<br>1-1 | 2-2<br>1-2 | 9-18 | 7 |
| 5 | კვიპროსი | 1-2<br>0-6 | 1-1<br>0-4 | 0-2<br>1-1 | 0-3<br>1-1 | | 0-0<br>2-0 | 6-20 | 7 |
| 6 | სომხეთი | 0-2<br>0-1 | 0-2<br>1-3 | 0-2<br>0-2 | 2-2<br>2-1 | 0-0<br>0-2 | | 5-17 | 5 |

| | III ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | | 2-1<br>1-2 | 4-2<br>0-0 | 2-2<br>3-0 | 1-0<br>2-0 | 15-7 | 17 |
| 2 | თურქეთი | 1-2<br>2-1 | | 2-1<br>2-2 | 2-2<br>2-0 | 5-0<br>0-0 | 16-8 | 15 |
| 3 | შვედეთი | 2-4<br>0-0 | 1-2<br>2-2 | | 2-0<br>0-1 | 1-0<br>1-1 | 9-10 | 9 |
| 4 | უნგრეთი | 2-2<br>0-3 | 2-2<br>0-2 | 0-2<br>1-0 | | 1-2<br>1-0 | 7-13 | 8 |
| 5 | ისლანდია | 0-1<br>0-2 | 0-5<br>0-0 | 0-1<br>1-1 | 2-1<br>0-1 | | 3-12 | 5 |

| | IV ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | | 2-1<br>1-1 | 2-0<br>0-0 | 4-0<br>0-1 | 2-0<br>2-1 | 2-0<br>7-1 | 22-5 | 23 |
| 2 | იტალია | 1-2<br>1-1 | | 1-0<br>4-0 | 2-0<br>3-1 | 1-1<br>1-0 | 2-0<br>4-1 | 20-6 | 23 |
| 3 | ლიტვა | 0-2<br>0-0 | 0-1<br>0-4 | | 2-0<br>1-3 | 2-1<br>2-1 | 1-0<br>5-0 | 13-12 | 16 |
| 4 | უკრაინა | 0-4<br>1-0 | 0-2<br>1-3 | 0-2<br>3-1 | | 0-0<br>2-3 | 3-0<br>1-0 | 11-15 | 13 |
| 5 | სლოვენია | 0-2<br>1-2 | 1-1<br>0-1 | 1-2<br>1-2 | 0-0<br>3-2 | | 3-0<br>3-1 | 13-13 | 11 |
| 6 | ესტონეთი | 0-2<br>1-7 | 0-2<br>1-4 | 0-1<br>0-5 | 0-3<br>0-1 | 0-3<br>1-3 | | 3-31 | 0 |

| | V ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩეხეთი | | 0-0<br>3-1 | 1-1<br>2-0 | 4-2<br>2-0 | 0-1<br>3-0 | 6-1<br>0-0 | 21-6 | 21 |
| 2 | ჰოლანდია | 0-0<br>1-3 | | 1-1<br>3-0 | 0-1<br>1-0 | 4-0<br>5-0 | 4-0<br>4-0 | 23-5 | 20 |
| 3 | ნორვეგია | 1-1<br>0-2 | 1-1<br>0-3 | | 1-0<br>4-0 | 2-0<br>5-0 | 1-0<br>2-0 | 17-7 | 20 |
| 4 | ბელარუსი | 2-4<br>0-2 | 1-0<br>0-1 | 0-1<br>0-4 | | 2-0<br>0-0 | 1-1<br>2-0 | 8-13 | 11 |
| 5 | ლუქსემბურგი | 1-0<br>0-3 | 0-4<br>0-5 | 0-2<br>0-5 | 0-2<br>0-0 | | 1-0<br>1-0 | 3-21 | 10 |
| 6 | მალტა | 1-6<br>0-0 | 0-4<br>0-4 | 0-1<br>0-2 | 1-1<br>0-2 | 0-1<br>0-1 | | 2-22 | 2 |

| | VI ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | 0-1<br>3-0 | 2-1<br>1-1 | 1-0<br>1-1 | 3-1<br>3-2 | 8-0<br>7-0 | 29-7 | 23 |
| 2 | ირლანდია | 1-0<br>0-3 | | 4-0<br>1-1 | 1-3<br>1-3 | 3-0<br>2-1 | 4-0<br>0-0 | 17-11 | 17 |
| 3 | ჩრდ. ირლანდია | 1-2<br>1-1 | 0-4<br>1-1 | | 2-1<br>5-3 | 1-0<br>1-2 | 4-1<br>4-0 | 20-15 | 17 |
| 4 | ავსტრია | 0-1<br>1-1 | 3-1<br>3-1 | 1-2<br>3-5 | | 5-0<br>2-3 | 4-0<br>7-0 | 29-14 | 16 |
| 5 | ლატვია | 1-3<br>2-3 | 0-3<br>1-2 | 0-1<br>2-1 | 0-5<br>3-2 | | 1-0<br>1-0 | 11-20 | 12 |
| 6 | ლიხტენ-შტეინი | 0-8<br>0-7 | 0-4<br>0-0 | 1-4<br>0-4 | 0-4<br>0-7 | 0-1<br>0-1 | | 1-40 | 1 |

| | VII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | | 2-3<br>3-1 | 2-0<br>4-1 | 3-0<br>6-1 | 1-1<br>2-1 | 2-1<br>2-1 | 27-10 | 25 |
| 2 | ბულგარეთი | 3-2<br>1-3 | | 2-0<br>1-2 | 4-1<br>3-0 | 3-0<br>3-1 | 1-1<br>3-0 | 24-10 | 22 |
| 3 | საქართველო | 0-2<br>1-4 | 0-2<br>2-1 | | 0-1<br>2-3 | 5-0<br>1-0 | 1-0<br>2-0 | 14-13 | 15 |
| 4 | მოლდოვა | 0-3<br>1-6 | 1-4<br>0-3 | 1-0<br>3-2 | | 3-2<br>0-1 | 0-3<br>2-3 | 11-27 | 9 |
| 5 | უელსი | 1-1<br>1-2 | 0-3<br>1-3 | 0-5<br>0-1 | 2-3<br>1-0 | | 2-0<br>1-1 | 9-19 | 8 |
| 6 | ალბანეთი | 1-2<br>1-2 | 1-1<br>0-3 | 0-1<br>0-2 | 3-0<br>3-2 | 0-2<br>1-1 | | 10-16 | 8 |

| | VIII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | | 1-1<br>0-0 | 3-0<br>2-1 | 6-0<br>3-1 | 3-0<br>5-2 | 4-0<br>7-0 | 34-5 | 26 |
| 2 | შოტლანდია | 1-1<br>0-0 | | 0-1<br>1-0 | 2-0<br>1-0 | 5-1<br>2-0 | 2-0<br>5-0 | 19-3 | 23 |
| 3 | საბერძნეთი | 0-3<br>1-2 | 1-0<br>0-1 | | 4-0<br>1-2 | 5-1<br>5-0 | 2-0<br>4-0 | 23-9 | 18 |
| 4 | ფინეთი | 0-6<br>1-3 | 0-2<br>0-1 | 0-4<br>2-1 | | 5-0<br>4-0 | 4-1<br>2-0 | 18-18 | 15 |
| 5 | ფარერი | 0-3<br>2-5 | 1-5<br>0-2 | 1-5<br>0-5 | 0-5<br>0-4 | | 3-0<br>3-1 | 10-35 | 6 |
| 6 | სან-მარინო | 0-4<br>0-7 | 0-2<br>0-5 | 0-2<br>0-4 | 1-4<br>0-2 | 0-3<br>1-3 | | 2-36 | 0 |

**მეთექვსმეტე მონაწილე გაირკვევა 13 დეკემბერს ლივერპულში, როცა ერთმანეთს შეხვდებიან: ჰოლანდია — ირლანდია.**

# ყველა გოლი (VII ჯგუფი)

**გერმანია** — 27. კლინსმანი — 9, კირსტენი — 3, მიოლერი — 3, მათეუსი — 2, ზამერი — 2, ჰერლიხი — 1, შტრუნცი — 1, ციგე — 1, ბაბელი — 1, ჰელმერი — 1, კუნცი — 1, ჰესლერი — 1, სტროენკო (მოლდოვა) — 1 საკუთარ კარში.

**ბულგარეთი** — 24. სტოიჩკოვი — 10, კოსტადინოვი — 7, ბალაკოვი — 3, პენევი — 2, ივანოვი — 1, ლეჩკოვი — 1.

**საქართველო** — 14. ქეცბაია — 4, შ. არველაძე — 4, ქინქლაძე — 3, გოგრიჭიანი — 1, დ. ჯანაშია — 1, კულიბაბა (მოლდოვა) — 1 საკუთარ კარში.

**მოლდოვა** — 11. კლეშჩენკო — 2, მიტერევი — 2, ოპრია — 1, ამელიუხი — 1, სეკუ — 1, პოგორელოვი — 1, კურტიანუ — 1, რებეჯა — 1, ტესტიმიცანუ — 1.

**უელსი** — 9. სანდერსი — 2, სპიდი — 2, კოულმენი — 1, გიგსი — 1, ბლეიკი — 1, სიმონსი — 1, პემბრიჯი — 1.

**ალბანეთი** — 10. კუშტა — 4, რაკლი — 2, ზმიანი — 1, კაცაი — 1, ბელაი — 1, ვატა — 1.

# სნაიპერები

### VII ჯგუფი

სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 10

კლინსმანი (გერმანია) — 9

კოსტადინოვი (ბულგარეთი) — 7

ქეცბაია (საქართველო) — 4

შ. არველაძე — (საქართველო) — 4

კუშტა (ალბანეთი) — 4

ბალაკოვი (ბულგარეთი) — 3

ქინქლაძე (საქართველო) — 3

კირსტენი (გერმანია) — 3

მიოლერი (გერმანია) — 3

კლეშჩენკო (მოლდოვა) — 2

მათეუსი (გერმანია) — 2

სანდერსი (უელსი) — 2

პენევი (ბულგარეთი) — 2

რაკლი (ალბანეთი) — 2

სპიდი (უელსი) — 2

ზამერი (გერმანია) — 2

მიტერევი (მოლდოვა) — 2

ივანოვი, ლეჩკოვი (ორივე — ბულგარეთი), ჰერლიხი, შტრუნცი, ციგე, ბაბელი, ჰელმერი, კუნცი, ჰესლერი (ყველა — გერმანია), გოგრიჭიანი, დ. ჯანაშია (ორივე — საქართველო), ზმიანი, კაცაი, ბელაი, ვატა (ყველა — ალბანეთი), ოპრია, ამელიუსი, სეკუ, პოგორელოვი, კურტიანუ, რებეჟა, ტესტიმიცანუ (ყველა — მოლდოვა), კოულმენი, გიგსი, ბლეიკი, სიმონსი, პემბრიჯი (ყველა — უელსი) — 1-1.

თითო გოლი საკუთარ კარში გაიტანეს მოლდოვას ფეხბურთელებმა სტროენკომ (გერმანიასთან) და კულიბაბამ (საქართველოსთან).

# ათი ყოფილი...

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ყოფილი საბჭოთა კავშირის ათი რესპუბლიკა გამოდიოდა, ბუნებრივია, დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით. ზოგისთვის აკლიმატიზაცია ასეთ პრესტიჟულ ტურნირში წარმატებული გამოდგა. ზოგმა, ცხადია, თავი ვერ გაართვა სატურნირო სირთულეებს. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ჯერჯერობით ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება, რუსეთის გარდა.

გთავაზობთ მათ სატურნირო მონაცემებს ჯგუფებში დაკავებული ადგილების მიხედვით (ამ უკანასკნელზე მიგანიშნებთ რესპუბლიკების წინ დასმული ციფრები).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 34-5 | 26 |
| 3. ლიტვა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-12 | 16 |
| 3. საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14-13 | 15 |
| 4. უკრაინა | 10 | 4 | 1 | 5 | 11-15 | 13 |
| 5. ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11-20 | 12 |
| 4. ბელარუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| 4. მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11-27 | 9 |
| 6. სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 6. აზერბაიჯანი | 10 | 0 | 1 | 9 | 2-29 | 1 |
| 6. ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ხდება ქვეყანაზე

● ორი სახელოვანი კუბელი მძლეოსანი, ორივე მსოფლიო რეკორდსმენი ხავიერ სოტომაიორი (სიმაღლეზე ხტომა) და ივან პედროზო (სიგრძეზე ხტომა), აგრეთვე, მსოფლიოს ვიცეჩემპიონი თარჯრბენში, ზამბიელი სამუელ მატეტე რჩებიან ესპანეთის კლუბ „ლარიოსში“. ამ დღეებში მათ განაახლეს კონტრაქტი ევროპაში ამ ერთ-ერთ უძლიერეს მძლეოსნურ ორგანიზაციასთან.

● როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, რომ ოლიმპიური ჩემპიონი სპრინტში, ბრიტანელი ლინფორდ კრისტი გახდეს 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონის, იამაიკელი მერლინ ოტის მწვრთნელი. ამჟამად კრისტი კონსულტაციას უწევს მეორე იამაიკელ მორბენალს ჯულიეტ კატბერტს.

● მოყვარულთა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება — მშვიდობის ველორბოლა გაისად 49-ედ ჩატარდება და გაივლის ოთხი ქვეყნის ტერიტორიაზე (ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, გერმანია). სტარტი დანიშნულია 8 მაისს ბრნოში. ფინიშის ხაზს ველოსიპედისტები 18 მაისს გადაკვეთავენ მას შემდეგ, რაც გაივლიან 11 ეტაპსა და 1700 კილომეტრს. რბოლა დასრულდება ლეიფციგში. წინასწარი მონაცემებით რბოლაში მონაწილეობას მიიღებს 18 გუნდი — 12 ეროვნული ნაკრები და 6 პროფესიონალური კლუბი.

● წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელზე აშშ-ში პრეტენზიას აცხადებს 106 კაცი. მათგან ღირსეულებს შეარჩევს ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი. ფავორიტთა შორის არიან: ქალებში — მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ციგურაობაში ბონი ბლეირი, რომელმაც წლეულს მსოფლიო რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე და მოიგო მსოფლიო თასი 1500 მ. ვაჟებში — მაიკლ ჯექსონი, პირველი სპორტსმენი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო 200 და 400 მეტრზე რბენაში. ბლეირის მთავარ კონკურენტად ასახელებენ სამთომოთხილამურე პიკაბო სტრიტს, ჯონსონის მეტოქედ კი ჩოგბურთელ პიტ სამპრასს და თავისუფალი სტილის მოჭიდავეს ბრიუს ბაუმჰარტნერს.

● პედრო ლამი პირველი პორტუგალიელი ავტომობილისტია, რომელმაც „ფორმულა-1“-ში ჩასათვლელი ქულები მიიღო. ახლა, როგორც ამბობენ, მას კარგი შანსები აქვს მოხვდეს „მინარდის“ ან „ეროუზის“ შემადგენლობაში.

● ფრანკფურტსა და ნიუ-იორკში გაიმართა ჩოგბურთელთა სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირები, რომლებმაც გამოავლინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელები როგორც ვაჟთა ისე ქალთა შორის. ფრანკფურტში ასპარეზობდნენ ვაჟები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბორის ბეკერი (გერმანია) და მაიკლ ჩანგი (აშშ). გაიმარჯვა ბეკერმა 7:6, 6:0, 7:6, მესამედ მოიპოვა უმაღლესი ტიტული და პრემიის სახით მიიღო 1 მილიონ 225 ათასი დოლარი. ნიუ-იორკში მოასპარეზე ქალებში ფინალი გერმანელებმა შტეფი გრაფმა და ანკე ჰუბერმა გაითამაშეს. გაიმარჯვა გრაფმა 6:1, 2:6, 6:1, 4:6, 6:3.

● მსოფლიოს პირველ ჩოგანს ქალთა შორის, შტეფი გრაფს, გადაწყვეტილი აქვს გაისად მონაწილეობა მიიღოს „დიდი სლემის“ პირველ ტურნირში — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც სტარტს აიღებს მელბურნში 15 იანვარს. „ფლინდერს პარკის“ სტადიონის კორტებზე თამაშის სურვილი გამოთქვა მონიკა სელეშმაც.

● სრულიად მოულოდნელად ლეიკ-პლესიდის (აშშ) ოლიმპიურ ცენტრში ვარჯიშის დროს გარდაიცვალა რუსი ფიგურისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი წყვილთა სრიალში სერგეი გრინკოვი. ექიმების დასკვნით სიკვდილი გამოიწვია გულის უეცარმა გაჩერებამ.

## რა ხდება ქვეყანაზე

## კარპოვი თამაშობს „ფიშერის ჭადრაკს“

პატარა გერმანული ქალაქი ნუსლოხი, ჰაიდელბერგის ახლოს, ჭადრაკის გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში მოექცა — მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ეწვია აქაურ „რაკეტ ცენტრს“, რომელმაც მოაწყო მეტად თავისებური საჭადრაკო სანახაობა. ჯერ კარპოვი ფიდეს ვერსიის მსოფლიო ჩემპიონატს შეეხო, თავის მატჩს გატა კამსკისთან, შემდეგ კი ითამაშა „ფიშერის ჭადრაკი“, ოსტატ იორგ შვალფენბერგთან და 26-ე სვლაზე შავებით გაიმარჯვა კიდეც.

რა თქმა უნდა, კარპოვის შეხვედრა ერთ ჩვეულებრივ ოსტატთან არავის დააინტერესებდა, საქმე რომ „ფიშერის ჭადრაკს“ არ შეხებოდა.

რა არის საერთოდ ეს „ფიშერის ჭადრაკი“?

მას ჩვეულებრივ საჭადრაკო დაფაზე თამაშობენ, ჩვეულებრივი ფიგურებით, სვლებიც ჩვეულებრივია, მაგრამ არის ერთი მეტად სერიოზული განსხვავება: ფიგურები საწყის პოზიციაში სულ სხვა უჯრებზე არიან განლაგებული, და ამით საჭადრაკო თეორიისაგან.. საერთოდ არაფერი რჩება. ერთი სიტყვით, საკუთარი ჭკუით უნდა ითამაშო!

რა შეიძლება ითქვას „ფიშერის ჭადრაკის“ შესახებ? სიახლის თაობაზე აზრს, ალბათ, გამოჩენილი სპეციალისტები იტყვიან, ახლა კი მოვუსმინოთ, ასე ვთქვათ, პრაქტიკული გამოცდილების ანატოლი კარპოვს.

ასეთი ჭადრაკის ნეგატიურ მხარედ მიმაჩნია თამაშის ჰარმონიის არქონა, რაც გააჩნია ნორმალურ ჭადრაკს. პოზიტიური კი ის გახლავთ, რომ თეორიული ცოდნის მნიშვნელობა სრულად დაიკარგა. ამით მეტოქეების ძალა თითქოს უნდა გათანაბრდეს.

ჟურნალი „64“ წერს: „შეიძლება კარპოვი და კასპაროვი ოდესმე მიუსხდნენ დაფას, სადაც ფიგურები ფიშერისებურად იქნება განლაგებული და ჩაებან ჯერ ჯიდევ ამოუცნობ სტიქიაში?“

ერთი სიტყვით, ფიშერი ჭადრაკის ახალ სახეობას გვთავაზობს. ვნახოთ, რამდენი გულშემატკივარი გამოუჩნდება მას.

ახლა კი დიაგრამას დავხედოთ. როგორც ხედავთ, პაიკები, „ფიშერის ჭადრაკში“ ისევე დგანან, როგორც ჩვეულებრივად — მეორე და მეშვიდე ჰორიზონტალებზე. დანარჩენი ფიგურების განლაგება შეცვლილია. თეთრები მარცხნიდან მარჯვნივ — მხედარი, ეტლი, კუ, მეფე, ეტლი, მხედარი, ლაზიერი, კუ. შავები — კუ, მხედარი, ლაზიერი, ეტლი, მეფე, კუ, ეტლი, მხედარი. შეამჩნიეთ ალბათ, თეთრი და შავი ფიგურების განლაგებაშიც განსხვავებაა.



## რ. მარცვალაშვილი (ს. ჩარგალი)
### საჭადრაკო ამოცანა



შამათი სამ სვლაში

## იუმორი



ერთდროული საჭადრაკო სეანსი მეტროპოლიტენში

## პროფესიულ რინგზე

მსოფლიოს ჩემპიონმა 61,2 კგ-ში ვბა-ს ვერსიით, 29 წლის ყირგიზელმა მოკრივემ ორზუბეკ ნაზაროვმა მეოთხედ დაიცვა ტიტული. ამჯერად მან ქულებით აჯობა ფილიპინელ დინდო კანოის. ნაზაროვს პროფესიულ რინგზე მოპოვებული აქვს 22 გამარჯვება, მათ შორის 16 — ნოკაუტით.

როგორც ამბობენ ტაილანდში ჩატარებულ ვბს-ს მსოფლიო კონგრესმა თავის შემადგენლობაში მიიღო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კრივის ორგანიზაცია. ეს თითქმის დაუჯერებელი ფაქტია, ვინაიდან ჩრდილოეთ კორეა ბოლო დროს არ სცნობს არც ერთ საერთაშორისო ტურნირს, მათ შორის მოკრივეთა ასპარეზობასაც. არადა „ფრანს პრესის“ სააგენტოს ცნობით კსდრ შესაძლოა ვბა-ს წევრიც გახდეს.

ატლანტიკ-სიტიში გაიმართა ორი საჩემპიონო მატჩი. პირველში ოქროს ქამრის მფლობელმა 66,7 კგ-ში იბფ-ს ვერსიით ფელიქს ტრინიდადმა (პუერტო-რიკო) მეოთხე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა ამერიკელ ლერი ბარნსს და შეინარჩუნა ტიტული. ასევე შეინარჩუნა ჩემპიონის ქამარი 66,7 კგ-ში ოღონდ ვბს-ს ვერსიით ამერიკელმა პერნელ უიტაკერმა, რომელმაც მეექვსე რაუნდში ნოკაუტით აჯობა თანამემამულე ჯეიკ როდრიგესს.

## ხუთი რგოლის გარშემო

საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრმა მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა გი დრიუმ გამოაცხადა, რომ ატლანტის თამაშებში გამარჯვებული ფრანგი სპორტსმენი პრემიის სახით 250 ათას ფრანკს (50 ათას დოლარს) მიიღებს. შესაბამისად ვერცხლის პრიზიორს გადაეცემა 120, ბრინჯაოს მედალოსანს კი 80 ათასი ფრანკი. ზუსტად ასეთი პრემიები ექნებათ გუნდური სახეობების წარმომადგენლებსაც. ამასთან, მინისტრმა განმარტა, რომ პრემია განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა 390 სპორტსმენის გვარი, რომლებიც გაემგზავრებიან ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე. სულ რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში იქნება 800 სპორტსმენი და მომსახურე პერსონალი. დანარჩენ ოლიმპიელთა გვარები გაირკვევა მოგვიანებით.

## ჯონი კაკალაძის ხსოვნას



უღალატო კაცს გულმა უღალატა. ვინ იფიქრებდა, რომ 70-იანი წლების ოზურგეთის „მერცხალის“ და ბათუმის „დინამოს“ თავდამსხმელს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, 44 წლის ვეტერან ფეხბურთელს განგება სიცოცხლეს იმ მწვანე მინდორზე მოუსწრაფებდა, სადაც დავაჟკაცდა. ამგვარი სიკვდილიც სიმბოლური იყო.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ არის ჯონი კაკალაძე — ბათუმის „საბაჟოს“ შემადგენლობაში აჭარის სამგზის ჩემპიონი ერთი წლის წინ იუგოსლავიაში გამართულ ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ცხოვრებაში და სპორტში გამორჩეული პიროვნება.

იშვიათია ადამიანი, რომელსაც მისებრ შეეძლო ეკეთებინა სიკეთე, გამოეხატა მოყვასის სიყვარული, მხარში ამოდგომოდა გაჭირვებულს. იყო სამაგალითო მეგობარი, იუმორით აღსავსე, ხელოვნების დიდი მოყვარული.

დაობლდა ოჯახი, ნათლით მოსილი პიროვნება დააკლდა საძმოს. რა ამოავსებს უფსკრულს, რომელსაც უშენობა ჰქვია.

აჭარის ფეხბურთის ფედერაცია
„საბაჟოს“ ვეტერანი ფეხბურთელები

## როლანდ გომარელი



ქართველ ძალოსანთა რიგებს 46 წლისა გამოაკლდა სპორტის ოსტატი როლანდ გომარელი — ჩინებული სპორტსმენი და მოქალაქე, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურა ქართულ სპორტს და თავისი კვალი დატოვა ძალოსნობის ისტორიაში.

საუცხოო ფიზიკური მონაცემებით გამორჩეულმა ადრევე მიიქცია ყურადღება. ვარჯიში „სპარტაკში“ ზერო უიფშიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. პირველი გამარჯვებები თანატოლთა რესპუბლიკურ ტურნირებში მოიპოვა, 1968 წელს კი საკავშირო ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო. დაამყარა არაერთი რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდი. წლების მანძილზე უძლიერესი იყო საქართველოს ჩემპიონატებში და ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე საიმედო წევრად ითვლებოდა.

ძალოსნებთან კავშირი შემდგომში არ გაუწყვეტია. საქმეში ერთგული, ადამიანებთან ურთიერთობაში გულთბილი და ყურადღებიანი, ოჯახში საყვარელი მეუღლე და მამა — ასეთად დაამახსოვრა თავი როლანდ გომარელმა ყველას, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
ძალოსნობის ფედერაცია.



ვანის ყოფილი ფეხბურთელთა გუნდის „სპარტაკის“ ვეტერანი ფეხბურთელების 1947-1957 წლების შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანაგუნდელი ჯიტა ერისთავის ძე ნიკოლეიშვილი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“ იტყობინება, რომ თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის 1995 წლის 27 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილებისა, კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“ ლიკვიდირებულ იქნა 1995 წლის 1 ნოემბრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვთხოვთ დაინტერესებულ იურიდიულ და კერძო პირებს 1995 წლის 15 დეკემბრამდე მოახდინონ ყველა ფინანსური ანგარიშსწორება.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „ინტერსპორტლოტოს“ მიმართ პრეტენზიები არ მიიღება.

ყველა საკითხზე გთხოვთ მოგვმართოთ:
თბილისი, 380019, ალლაძის (ყოფილი ელიავას ქ.) №26, კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“
ტელეფონი: 34-51-72.

„ინტერსპორტლოტოს“ სალიკვიდაციო კომიტეტი.

## კროსვორდი ● კროსვორდი ● კროსვორდი ● კროსვორდი

თარაზულად: 5. მძლეოსნობაში და ცხენოსნობაში გადასალახავი დგარი, 6. ცნობილი ბულგარელი მწვრთნელი ძალოსნობაში, 8. სპორტის სახეობა, 11. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 14. რაგბიში მოთამაშეთა განლაგება, 15. მაკედონიის საფეხბურთო კლუბი, 16 უცნაური რეკორდების ავტორი, 17. კვიპროსის საფეხბურთო გუნდი, 21. მხედრის დასაჯდომი, 22. „რეალ მადრიდის“ ყოფილი მწვრთნელი, 23. გავარჯიშებით, წვრთნით გამომუშავებული უნარი, გაწვრთნილობა, 26. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 27. ქუთაისში ერთ-ერთი საბაზო ადგილის სახელწოდება, 28. მოჭიდავე ანუ...

შვეულად: 1. ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 2. წარსულში გამოჩენილი მოჭადრაკე, 3. ჰოკეის ინვენტარი, 4. ავტომობილებით შეჯიბრება, 7. ცხენოსნობის ეროვნული სახეობა, 9. მეკარე — ფეხბურთში, ჰოკეიში, 10. სპორტსმენის შრომა-ვარჯიში, 12. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე მძიმე წონაში, 13. ოლიმპიური ჩემპიონი (1960, 1964 წწ.) წყალში ხტომაში გდრ-დან, 18. ცნობილი უნგრელი მოცურავე — მსოფლიოს ჩემპიონი (1973) და ოლიმპიური თამაშების (1972) პრიზიორი, 19. სენაკის საფეხბურთო გუნდი, 20. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 24. ადგილი ზემო იმერეთში, რომლის სვეტზე ავიდნენ ქართველი ალპინისტები, 25. იტალიელი ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.



### „ლელოს“ 44 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. „ვერდერი“; 2. სკოპლე; 3. „ტორინო“; 4. რიკარდო; 7. აფიშა; 8. „ფეიენოორდი“; 10. ცქიტიშვილი; 12. „დინამო“; 13. „აიაქსი“; 15. ადიდასი; 16. შელია; 17. ურუგვაი; 19. „ერბენი“; 21. „ბრიუგე“;

თარაზულად: 5 ესტაკადა; 6. ავტორალი; 9. „პენაფიელი“; 11. არტიმე; 12. დაშნა; 14. „ოვიედო“; 18. ედერლი; 20. „ოსური“; 21. „ბაიერი“; 22. „ბალაიდორი“; 23. სიჭინავა; 24. შენგელია.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66485 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სადამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჭილურია. შ. ფოჩორია